CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

# დიპლომატიური სკანდალი

N155/3085/ 21 ოქტომბერი 2014 წ ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „დაგეგმილია პროვოკაცია, მოხდება იარაღის გასროლა და, სავარაუდოდ, ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი დაიჭრება“



## ლადო სადღობელაშვილი: „არსებობს მაგალითები მსოფლიოში, როცა აუკრძალავთ კრიმინალური პარტიები, საქართველოში ახლა ეს დროა“

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

## რამ გააერთიანა 16 არასაპარლამენტო პარტია და რას იწყებენ 23 ოქტომბრიდან?




## ბრალდებულ კეზერაშვილის გამო შალვა ხაჭაპურიძეს დღეს ადვოკატობას აუკრძალავენ?

## რამაზ საყვარელიძე: „ქართული ოცნება“ არხეინად არის და არ თვლის, იყოს ეფექტური, იმიტომ, რომ მას ალტერნატივა არ ჰყავს“



რას მიიღებს ალასანია უკეთესს, თუკი ოპოზიციაში წავიდა?

## სულხან მოლაშვილის ძმა და ნანა კაკაბაძე იპოთეკების ბინების დასაბრუნებლად ბრძოლას იწყებენ

რა გზას აირჩევენ ისინი ხელისუფლებისგან უარის შემთხვევაში?

## „თავისუფალი პროტესტი აღკვეთის მცდელობით არ ჩერდება, არამედ ათკეცდება“



„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, გიგა ბოკერია პრემიერის შეფასებას ეხმიანება მის სახლთან გამართული აქციის თაობაზე:

„მოვისმინეთ ბრიყვული განცხადება ივანიშვილის ხელისუფლების ე.წ. პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილისა, რომ თურმე, არ დაუშვებენ ქვეყანაში დესტრუქციულ ქმედებებს. ის, რასაც ღარიბაშვილი „დესტრუქციულ ქმედებებს“ ეძახის, სიტყვის და პოლიტიკური თავისუფლებაა. მინდა, ივანიშვილი და მისი გუნდი ღარიბაშვილის მეთაურობით გავაფრთხილო, რომ თავისუფალი პროტესტის ამ ზომით აღკვეთის მცდელობა კი არ აჩერებს ამ პროტესტს, აათმაგებს და ამ მეთოდებით პროტესტს ისინი ვერ გააჩერებენ“, – განაცხადა ბოკერიამ.

ირაკლი ღარიბაშვილმა მის სახლთან გუშინ მომხდარ ინციდენტს „პროვოკაციული“ უწოდა. ღარიბაშვილის სახლთან მიმდინარე აქციის დროს 7 პირი დააკავეს. (ფრონტნიუსი)

## „სამართლიანობამ იზეიმა ძირითადად მათთვის, ვინც „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანდა“



„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი, ნინო ბურჯანაძე მიმდინარე მოვლენებს ეხმიანება და აცხადებს:

„მიხეილ სააკაშვილი განსასჯელის სკამზე უნდა დაჯდეს და მას პასუხი უნდა მოეთხოვოს იმისთვის, რაც ქართულ სახელმწიფოსა და ქართველ ხალხს გაუკეთა. რაც შეეხება მმართველ კოალიციას, უნდა გაითვალისწინოთ, რომ „ქართული ოცნება“ ძირითადად იმ ხალხისგანაა დაკომპლექტებული, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმით მაინცდამაინც არ დაზარალებულან და თუ დაზარალდნენ, ისინი იმდენად კარგად გრძნობენ თავს ხელისუფლებაში, რომ დაივიწყეს მთავარი დაპირება – სამართლიანობის აღდგენა. ეს მათთვის უკვე მნიშვნელოვანი აღარ არის, ყოველ შემთხვევაში, პირველი რიგის ამოცანად აღარ დგას. ვინ მისცა მიხეილ სააკაშვილის შეწყალების უფლება პრეზიდენტს? ქართველი ხალხი, როცა გიორგი მარგველაშვილს პრეზიდენტად ირჩევდა, მისგან ხომ მიხეილ სააკაშვილისა და მისი კლანის დასჯას მოითხოვდა ჩადენილი დანაშაულების გამო? გაიხსენეთ იგივე გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო კამპანიის მთავარი ლოზუნგი – ის ხომ ქართველ ხალხს „ოცნებასა“ და „ნაცმოძრაობას“ შორის არსებული დანაშაულებრივი კოჰაბიტაციის დასრულებას ჰპირდებოდა და აცხადებდა, „სამართლიანობა იზეიმებსო“? სადაა დღეს სამართლიანობა? სინამდვილეში „სამართლიანობამ იზეიმა“ მხოლოდ მათთვის, ვინც „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანდა, ისიც არა ყველასთვის – მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა „აღადგინა სამართლიანობა“ საკუთარი თავის მიმართ. ისინი „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელები არიან. ყველა დანარჩენს კი, ვინც ქონება დაკარგა, ვინც უსამართლოდ დაზარალდა, არაფერი მიუღია. პარლამენტის გადაწყვეტილებით საპატიმროდან ადამიანები „სააკაშვილის რეჟიმის პოლიტპატიმრების“ სტატუსით გამოვიდნენ, მაგრამ მათ ნასამართლობის მოხსნა დღემდე ვერ შეძლეს, ანუ ისინი პოლიტპატიმრებად აღიარებულნი არიან, მაგრამ ნასამართლობას არ უხსნიან. ადამიანის ღირსებისადმი მეტი დაცინვისა და აბსურდის წარმოდგენა შეუძლებელია! მათ ისევ შელახული აქვთ უფლებები და სამსახურში ვერ ეწყობიან. ეს აბსოლუტურად არანორმალურია, მაგრამ იმავდროულად დღევანდელი მმართველობის თვალსაჩინო მაგალითიცაა“. – განაცხადა ბურჯანაძემ. (ინტერ-პრესნიუსი)

## საავადმყოფოს სოკოთი ინტოქსიკაციით 77-მა პაციენტმა მიმართა



ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში, ბოლო ათი დღის განმავლობაში, სოკოთი ინტოქსიკაციით 77 პაციენტი შეიყვანეს. როგორც საავადმყოფოს ექიმი აცხადებს, ქუთაისის საავადმყოფოებს სოკოთი ინტოქსიკაციით ყოველთვიურად ათეულობით ადამიანი მიმართავს. ტოქსიკოლოგები მოსახლეობას აფრთხილებენ, რომ თავი შეიკავონ ტყეში დაკრეფილი სოკოს მიღებისგან. (ინტერპრესნიუსი)

## სალარო-საკონტროლო აპარატის გამოყენების წესის დარღვევის ფაქტები გამოვლინდა

შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული კონტროლის ღონისძიებების ფარგლებში, 13-19 ოქტომბერს, 1286 სატრანსპორტო საშუალება შემოწმდა. შედეგად, საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებისთვის, სამართალდარღვევის 214 ოქმი შედგა.

დარღვევები გამოვლინდა ასევე მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დაცვის მიმართულებითაც. კერძოდ, კონტროლის მიზნით შემოწმებულ 1169 ობიექტზე, სამართალდარღვევის 951 ფაქტი დაფიქსირდა. ამავე პერიოდში, თბილისის ტერიტორიაზე განხორციელდა აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული იმპორტული ლუდების შემოწმებაც. სულ შემოწმდა 8 მაღაზია, აქედან 6-ში აქციზური მარკის არასწორად ნიშანდების ფაქტები გამოვლინდა. შესაბამისად, ჩამორთმეულია 34 დასახელების 721 ბოთლი იმპორტული ლუდი, საერთო ღირებულებით 2307,40 ლარი. (ინტერპრესნიუსი)

## ბათუმში უკრაინის საკონსულო დაიხურა



აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უკრაინის საკონსულო დაიხურა. უკრაინის საპატიო კონსულმა ალექსანდრე აკიმოვმა საკონსულოს დახურვის მიზეზად უკრაინაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დაასახელა. კონსულმა აღნიშნა, რომ უკრაინის ოფიციალური წარმომადგენლობა ბათუმში სავარაუდოდ, რამდენიმე წელიწადში გაიხსნება. (ინტერპრესნიუსი)

## სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის თანამშრომლის მიმართ გამოძიება მიმდინარეობს



პროკურატურაში სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის მიმართ გამოძიება მიმდინარეობს. მთავარი პროკურატურის განცხადებით, 2014 წლის 20 სექტემბერს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის გენერალური ინსპექციის მიერ გამოვლინდა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის მიერ თანხების მითვისების ფაქტი, რაც სათანადო რეაგირებისათვის გადაიგზავნა თბილისის პროკურატურაში. გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელმწიფო თანხების მითვისების ფაქტზე.

„გამოძიებით დადგინდა, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელმა, რომელიც აღნიშნულ სამსახურში 1996 წლიდან მუშაობს, 2013 წლის თებერვლიდან 2014 წლის სექტემბრამდე პერიოდში, ზემოხსენებული სამსახურის კუთვნილი თანხები მითვისების მიზნით გადარიცხა როგორც პირად, ასევე ოჯახის წევრების სახელზე გახსნილ საბანკო ანგარიშებზე.

გამოძიების ამ ეტაპზე, ზარალის ზუსტი ოდენობის დასადგენად მიმდინარეობს ფინანსური რევიზია, რის შემდეგაც მიღებული იქნება შესაბამისი სამართლებრივი გადაწყვეტილება“, – აცხადებენ მთავარ პროკურატურაში. (ინტერპრესნიუსი)

## „პრემიერი აქციებს გაგებით უნდა მოეკიდოს“



საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი ხათუნა გოგორიშვილი პრემიერის სახლთან გამართულ აქციასთან დაკავშირებით, პრემიერის განცხადებას ეხმიანება:

„ღარიბაშვილი უკვე აბსოლუტურად არაადეკვატური ხდება, ის საკუთარ თავს საქართველოსთან აიგივებს და მის წინააღმდეგ გამართულ აქციებს საქართველოსა და ქვეყნის წინააღმდეგ გამართულ აქციებად აღიქვამს. მე უბრალოდ ვურჩევდი, დაწყნარდეს, დამშვიდდეს. დემოკრატიულ ქვეყნებში აქციები არის პროტესტის ჩვეულებრივი ფორმა და მას თუ უნდა, იყოს სახელმწიფო თანამდებობაზე, ამასაც გაგებით უნდა მოეკიდოს, მით უმეტეს, რომ გაგებით მოკიდება მისი საყვარელი პატრონის ტერმინია“, – განაცხადა გოგორიშვილმა. (პირველი რადიო)

## პირველი ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლეები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ



არსებული ინფორმაციით, მე-12 და მე-9 კლასის მოწაფეებს შორის დაპირისპირება ჯერ სიტყვიერად წარიმართა, თუმცა შემდეგ ფიზიკურში გადაიზარდა. სკოლის შენობაში დაწყებული ჩხუბი შენობის გარეთაც გაგრძელდა. დაშავებულია ერთ-ერთი მოსწავლე. მან სხეულის დაზიანებები და ტვინის შერყევა მიიღო. დაპირისპირების კონკრეტული მიზეზი უცნობია. ფაქტს სკოლის მანდატურისა და მოსწავლეების სახით მრავლად ჰყავს თვითმხილველი.

გამოძიება ცემის ფაქტზე მიმდინარეობს. არსებული ინფორმაციით, ამ დროისთვის დაკავებული არავინაა. (ფრონტნიუსი)

## ფსიქოტროპული ნივთიერებების შემოტანის მცდელობა აღკვეთეს



შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა საბაჟო გამშვებ პუნქტ „ყაზბეგის“ ტერიტორიაზე ფსიქოტროპული ნივთიერებების შემოტანის მცდელობა აღკვეთეს. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საბაჟოზე რუსეთის ფედერაციის მხრიდან შემოვიდა რუსეთის მოქალაქე ი.ჩ., რომელსაც საბაჟო პროცედურების დროს ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველობის პრეპარატები „ბელატამინალი“ (9 კაფსულა) და „ფენაზეპამი“ (8 კაფსულა) აღმოაჩნდა.

ასევე, „ყაზბეგის“ ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის მხრიდან შემოვიდა სომხეთის მოქალაქე ს.ა. რომელსაც მებაჟე ოფიცრებმა ასევე ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველობის პრეპარატი „ტრანკიმაზინ რეტარდი“ (34 აბი) აღმოუჩინეს.

ორივე საქმე შემდგომი რეაგირების მიზნით შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის მთავარ სამმართველოს გადაეცა. (ინტერპრესნიუსი)



# ნიკოლოზ მჟავანაძე: „დაგეგმილია პროვოკაცია, მოხდება იარაღის გასროლა და, სავარაუდოდ, ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი დაიჭრება“

**„ალია“ „უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელს ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრა:**

– რა განცხადებებიც ამ ბოლო დროს გავაკეთეთ, უმრავლესობა რეალობად იქცა, მაგრამ რასაც ახლა ვიტყვი, ძალიან არ მინდა, ასრულდეს, გამომდინარე მისი სიმძიმიდან, მაგრამ ინფორმაცია მოვიდა და უნდა გავაჟღერო. „ნაციონალური მოძრაობა“ უკვე იქამდე მიდის, რომ, რაც შეიძლება, მალე მოხდეს სიტუაციის ესკალაცია. ამის დასტურია ის, რაც 19 ოქტომბერს მოხდა პრემიერის სახლთან. გასაგებია, რომ სიტყვისა და აზრის გამოხატვა ნებადართულია, მაგრამ არ მახსოვს, რომ სააკაშვილის მმართველობის დროს სახლში მივარდნოდა ვინმე იგივე შინაგან საქმეთა მინისტრს, პრემიერ-მინისტრს და სხვა მაღალჩინოსნებს, იყო კონკრეტულ რეზიდენციებთან და მთავრობის სახლთან აქციები, მაგრამ საცხოვრებელ სახლთან გახსენდებათ მსგავსი აქცია? ყველაფერი გამიზნულია იქითკენ, რომ, რაც შეიძლება, მეტი ექსცესი და პროვოკაცია მოხდეს და ხელისუფლების იმიჯი საზღვარგარეთ იქნას შერყეული, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო აშკარად მოიკოჭლებს.

**— რაც შეეხება ახალ ინფორმაციას?**

– როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, „ნაციონალებსა“ და მის სატელიტ ორგანიზაციებს დაგეგმილი აქვთ პროვოკაცია, რომლის შედეგადაც მოხდება იარაღის გასროლა და ამის შემდეგ, სავარაუდოდ, ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი დაიჭრება, ეს შემდეგ მოინათლება, როგორც შეიარაღებული თავდასხმა. ანუ, თუ პარალელს გავავლებთ 1991 წლის 2 სექტემბერთან, კინოს სახლთან გასროლა რომ მოხდა, როცა ზუსტად ამ დღის შემდეგ მოინათლა გამსახურდია ევროპაში დიქტატორად და საკმაოდ იმუშავეს მაშინდელმა ამფსონებმა მოსკოვში, იგივე გეგმაა ახლაც.

**— ამბობთ, „ნაციონალების“ სატელიტებიო და, კონკრეტულად რომელ სატელიტებს გულისხმობთ?**

– იმ უამრავ არასამთავრობოს, რომლებიც ამ ბოლო დროს სოკოებივით ამოიზარდა: „თავისუფალი ზონიდან“ დაწყებული, „ივერია“, ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია გააკეთა ამ ბოლო დროს კრწანისის ყოფილმა გამგებელმა ხათუნა ბერძენიშვილმა, რომელშიც ასევე გაერთიანებულია ყოფილი „ნაციონალები“, რომელი ერთი გითხრათ, ყველა სატელიტია. მივმართავ ხელისუფლებას, ყურადღება მიაქციოს ამ საკითხს და ბოლოს და ბოლოს მარმნიშვნელოვანი პუნქტი, სადაც ეწერა, რომ თუ სიტუაცია მოითხოვდა, წევრებს თვითდაზიანებები უნდა მიეყენებინათ. წიკლაურის ვითომ ცემა რა იყო? ჩემი აზრით, ამ ადამიანმა თვითდაზიანებები მიიყენა და ახლაც ანალოგიურად მოხდება, მაგრამ უფრო მძიმე შემთხვევებთან გვექნება საქმე.

**— რამდენად სანდოა თქვენი ინფორმაცია?**

– ჩვენ ეს ინფორმაცია სანდო წყაროსგან ვიცით, რომლის სახელსაც, ბუნებრივია, ვერ დავასახელებ. პროცესი უკვე ღრმად არის წასული: ჟურნალისტებს უკვე ქუჩაში ხვდებიან და უმოწყალოდ სცემენ და სახლებში გვივარდებიან და ესენი ამბობენ, რომ საქართველოში დიქტატურაა? რა, სახლში მივარდნები სწორია და იქ ვინმეს დაკავება არ არის სწორი?

**— 20 ოქტომბერს გივი თარგამაძე წერდა სოციალურ ქსელში, მხდალმა ჰაკიმმა მთელი პოლიცია შეყარა, სასტიკად დაარბია აქცია და ბევრია დაკავებულიო.**

– ახლა წარმოგიდგენიათ, 2 სექტემბერივით სისხლი რომ დაიღვრება, იმას „ნაციონალებთან“ დაახლოებული სხვადასხვა მედიასაშუალებები როგორ დაატრიალებენ? 19-ში ისედაც მოხდა იმ აქციის გაშუქება, თითქოს „ნაციონალები“ კი არ წიფდა საქმე სისხლის დაღვრაზეც. ამიტომ, ის ხალხი, ვინც ფულს იღებს, რომ ხელისუფლება დაამხოს, უნდა იქნეს დაკავებული: ადვოკატობა არ არის მანტია და ხელშეუხებლობის იმუნიტეტი და არც ის დამნაშავე ადვოკატი არ უნდა დავიცვათ. გაგიგიათ, ადვოკატი სახლში უვარდებოდეს ვინმეს? სად ხდება ასეთი რამე? ამას ყველაფერს რომ ვუყურებ, გაკვირვებული ვარ ამ ხელისუფლების ლოიალობით. გურიაში ზედმეტად კეთილ, გულუბრყვილოსა და თავდახრილ ადამიანს, აბდალას ეძახიან და ნუ გაიაბდლებს თავს ეს ხელისუფლება! ბოლოს და ბოლოს, რამდენჯერ უნდა მოგვაყენონ შეურაცხყოფა და რამდენჯერ უნდა გადაგვიარონ, მაინცდამაინც „მუხა“ უნდა ესროლონ მთავრობის სახლს „ნაციონალებმა“, რომ ეს ხალხი პასუხისგებაში მიეცეს? თუ არსებობს ინფორმაცია, რომ ფული მოდის, რომ ხელისუფლება დაემხოს, ბოლოს და ბოლოს ხომ არსებობს უშიშროების სამსახური, რომ ეს ფაქტები გამოიძიოს.

**— სხვათა შორის, გავრცელებული ინფორმაციით, როცა „ნაციონალები“ პრემიერის სახლთან მივიდნენ, იქაური მოსახლეობა აგრესიულად შეხვედრია მათ და არ არის საშიშროება, ამ ორ მხარეს შორის მოხდეს შეჯახება და**

ტო 315-ე მუხლით საქმის აღძვრა, რაც კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივ შეწყვეტასთანაა დაკავშირებული, არ კმარა. ყველა ვხედავთ, რომ გარკვეული ნაბიჯები „ნაციონალების“ მხრიდან უკვე იდგმება, რათა ხელისუფლება დაემხოს და ამას უნდა აღკვეთა. გაიხსენეთ, ორმა სექტემბერმა დიდად განაპირობა გამსახურდიას ჩამოგდება, რასაც შემდეგ კიდევ მოჰყვა რამდენიმე სცენარი, ასე ნელ-ნელა გროვდებოდა ყველაფერი და ეს პროცესი დღესაც დაწყებულია. თან გვახსოვს უგულავას მოწოდება: კოალიციის მხრიდან უნდა მოხდეს ხელისუფლების შეცვლაო, რადგანაც „ნაციონალებს“ არავინ გაჰყვებაო და ეს ფაქტებიც სახეზეა, ამიტომ დარწმუნებული ვარ, ეს ხალხი სისხლისღვრასაც არ მოერიდება. შეგახსენებთ კიდევ ერთ ფაქტს: „კმარას“ წესდებაში იყო ერთი მივიდნენ პრემიერის სახლთან შეურაცხმყოფელი სიტყვების ძახილით, პოლიცია მიუვარდა ამათ სახლებში. საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის პირადი ცხოვრება არის ხელშეუხებელი და არავის აქვს უფლება, შეიჭრას საცხოვრებელში და აუწიოკოს იქაურობა. მესმის, აქცია ჩატარებულიყო პრემიერის რეზიდენციასთან, მთავრობის კანცელარიასთან, მაგრამ მათი თავხედობა იქამდე მივიდა, რომ უკვე სახელმწიფო ინსტიტუციების ნგრევაზე მიდიან.

**— რას გულისხმობთ?**

– პოლიციასთან დაკავშირებით შეურაცხმყოფელ სიტყვებსა და გამონათქვამებს რომ ვისმენთ. გავიხსენოთ, 90-იანი წლები, როცა პოლიციელებს პანჩურებს ურტყამდნენ, რადგანაც ასეთი პროცესი იყო მაშინ დაწყებული და ახლაც აქეთკენ მიჰყავთ საქმე. ეს ხალხი იმდენად ყველაფერზე წამსვლელია, უკვე მომ**პოლიციამ ვერ უშველოს?**

– ცხადია, არის. გარდა ამისა, ვიღაცას ჰგონია საქართველოში, რომ მაინცდამაინც 1000 კაცი უნდა გამოვიდეს, რომ ხელისუფლება შეიცვალოს, მაგრამ როცა მედია ამათია და სამოქალაქო სექტორი კონტროლირებადი აქვთ, მათი ქმედებები არ არის საფრთხის შემცველი? გავრცელდა ინფორმაცია, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ საქართველოში ვიზიტებისგან თავი შეიკავეთო. ეს ხდება იმ დროს, როცა ჩვენ საგარეო საქმეთა სამინისტრო რეალურად არ გვყავს და ის უშუალოდ „ნაციონალების“ ინტერესების გამტარებელია, რადგანაც ელჩები და საკონსულოს წარმომადგენლები, რომლებიც ქვეყნის იმიჯზე უნდა მუშაობდნენ, მის დისკრედიტაციაზე მუშაობენ და რაზეა ლაპარაკი? მამუკა ჟღენტი, რომელიც საქართველოს წარმომადგენელი იყო ევროპაში, ისეთი სიხარულით გადმოსცემდა გერმანიის ამ ამბავს, ვერ აგიწერთ, მართლა სავალალო მდგომარეობაში ვართ და ხალხმა შეცდომებზე ხომ უნდა ისწავლოს რამე? 90-იან წლებშიც ასე დაიწყო ზვიად გამსახურდიას დიქტატორად მონათვლა და გავითვალისწინოთ ისტორიის გაკვეთილები. ხელისუფლება არხეინად რომაა და ჰგონია, არაფერი მოხდება, ისე მწარედ მოხდება, ყველა დავინახავთ, თუკი, არ გაატარეს ზომები. ეს ადამიანები როგორც ორ-სამ გვამს ითხოვდნენ სიტუაციის გამძაფრებისთვის, ისე დალაგდება უახლოეს პერიოდში სიტუაცია.

მინდა მჯეროდეს, რომ სანამ ეს ყველაფერზე წამსვლელი ხალხი სახლებში შემოგვივარდება, მანამდე უნდა ჩატარდეს პრევენცია. ისე ძალიან უცნაურია: 2012 წლის შემდეგ, როცა გვეგონა, დამთავრდა ყველაფერიო, 2 წლის შემდეგ აი, ასეთი სურათი მივიღეთ, იმის ნაცვლად, რომ ჩირგვებში იყვნენ შემძვრალნი, ასეთ ამბებს აპირებენ და გავფრთხილდეთ, რადგანაც ამათ ძალიან დიდი ლობი ჰყავთ ევროპაში და ეს ამბავი ცუდად მოგვიბრუნდება.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრემიერის სახლთან დაკავებული კვარაცხელიას საქმე სისხლის სამართლით გადაკვალიფიცირდა



პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის სახლთან ერთ-ერთი დაკავებულის ლევან კვარაცხელიას საქმეს სასამართლო ცალკე განიხილავს, რადგან მისი საქმე სისხლის სამართლით გადაკვალიფიცირდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ბაჩო ახალაიას მხარდამჭერთა აქციაზე 7 მონაწილეა დაკავებული. მათ შორის არიან ბაჩო ახალაიას ერთ-ერთი ადვოკატი რომეო საჯაია და ტელეკომპანია „ტაბულას“ ფოტორეპორტიორი ალექსანდრე გიორგაძე.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის მხარდამჭერები პრემიერის სახლთან 19 ოქტომბერს, საღამოს 7 საათისთვის შეიკრიბნენ და სასამართლოზე ხელისუფლების ზეწოლას აპროტესტებდნენ.

აქციის დაწყებიდან რამდენიმე წუთში მდგომარეობა დაიძაბა. აქციის მონაწილეები ყვებიან, რომ ადგილზე ახალგაზრდა პოეტი ბიჭი ივანიშვილი რამდენიმე თანმხლებ პირთან ერთად მივიდა და შეკრებილებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. აქციის მონაწილეთა განცხადებით, კონფლიქტის მიზეზი სწორედ ეს გახდა. დაკავებების შემდეგ აქცია დილომში შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარ სამმართველოსთან გაგრძელდა, სადაც დაკავებულები დაკითხვის შემდეგ გადაიყვანეს. ადვოკატების განცხადებით, ისინი უკანონოდ დააკავეს და ინციდენტი წინასწარ დაგეგმილი პროვოკაციის შედეგი იყო.

დაკავებულთა სასამართლო პროცესის შემდეგ გაირკვევა, აღკვეთის ღონისძიების რა ფორმას მოითხოვს მათთვის ბრალდების მხარე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## პრემიერი მედიას მიმართავს



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მედიასა და არასამთავრობოებს მიმართავს, მაქსიმალურად ჩაერთონ და გააკონტროლონ მთავრობა.

„მე მინდა გთხოვოთ, მაქსიმალურად იყოთ ჩართულები და გაგვაკონტროლეთ. გააკონტროლეთ, რას აკეთებს მთავრობა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მოვისმინე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციისა და მედიის წარმომადგენლების შეფასებები, რომ არ იციან, რას აკეთებს მთავრობა. ეს კითხვა ხშირად მიზანმიმართულად სპეკულირებს, იმისთვის, რომ მოსახლეობას გაუჩინონ განცდა, თითქოს მთავრობა მათთვის არაფერს აკეთებს. ეს არის ტყუილი. თუნდაც ის კითხვა: სად არის 60 ახალი საწარმო? 74 ახალი საწარმო გავხსენით ჩვენს პირობებში, ჩვენი დახმარებით. პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ არ ყოფილა არასდროს. ჯანდაცვისთვის დაფინანსების გაზრდა, პენსიების გაზრდა და სოციალური დახმარების გაორმაგება ეს არის რეალური შედეგები, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, მაგრამ, საუბედუროდ, ამის მიტანა არ ხდება მოსახლეობამდე. მე და მთავრობის წევრები, კიდევ ერთხელ გიდასტურებთ სრულ მზადყოფნას, რომ მზად ვართ, ვიყოთ ღია და გამჭვირვალე. გაგვაკონტროლეთ, რას ვაკეთებთ მოსახლეობის პირობების გაუმჯობესების მიზნით“, – აღნიშნა პრემიერმა. (ნიუპოსტი)



# ბრალდებულ კეზერაშვილის გამო შალვა ხაჭაპურიძეს დღეს ადვოკატობას აუკრძალავენ?

**დამნაშავე, ძებნილი და ბრალდებული დავით კეზერაშვილი „კვირის ქრონიკას“ პატივისა და ღირსების შელახვის გამო სასამართლოში უჩივის. ეს უკვე მეორე შემთხვევაა — 2013 წლიდან მოყოლებული, კეზერაშვილმა, ასევე პატივისა და ღირსების შელახვის გამო, სამ საქმეზე ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძეს უჩივლა და საქალაქო სასამართლოში პროცესი მოიგო კიდეც. ცნობილმა ადვოკატმა საქალაქოს გადაწყვეტილება სააპელაციოში გაასაჩივრა, მაგრამ არ აქვს იმედი, რომ რამე შეიცვლება. თუ კეზერაშვილი ხაჭაპურიძისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს, ჩვენგან — 2500 ლარს და ასევე ბოდიშის მოხდას. აქ მთავარი მოთხოვნები კი არა, მისი თავხედობაა — ქვეყანაში, სადაც დამნაშავე, ძებნილი და ბრალდებული ამდენს ბედავს, საქმე უაღრესად მძიმედ არის. როგორც თავად შალვა ხაჭაპურიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, დღეს ჩვენ ვიმკით იმას, რაც 2012 წლის შემდეგ დათესა ახალმა ხელისუფლებამ:**

– დღეს საზოგადოება არის გაოგნებული, ბევრმა ვერ გაიგო, რა მოვლენებთან გვაქვს საქმე. საერთოდ, კრიმინალს ახასიათებს ასეთი თვისება: თუ შენ მას რამე აპატიე, რაღაც ფორმით ურთიერთობაში შეხვედი, ახლოს მოუშვი და ენა მოუჩლიქე, მას მადა ეხსნება, აქეთ იწყებს შეტევაზე გადმოსვლას და როგორც წესი, უჩნდება სურვილი, რომ შეგჭამოს. აი, ამ მოვლენასთან გვაქვს დღეს საქმე. ამ ქვეყანაში უამრავმა ადამიანმა ჩაიდინა დანაშაული და შენ ამას პატიობ, იგონებ რაღაც ახალ სიტყვას – კოჰაბიტაციას, მერე გამოდის ქალბატონი თინა ხიდაშელი და ცინიკურად ამბობს, კოჰაბიტაცია ქართველმა ხალხმა დაგვავალაო. მე არ ვიცი, ეტყობა, ვიღაცამ დაავალა, მაგრამ ქართველ ხალხს რომ არ დაუვალებია, ამაში დარწმუნებული ვარ. შედეგად მივიღეთ დღევანდელი დღე, უფრო მეტიც იქნება, უფრო გააქტიურდება „ნაცბანდა“, უფრო შორს წავა. ალბათ, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაც ამის გამოძახილია: ეს საბოლოო გაფრთხილებაა, დესტაბილიზაციის მცდელობას არავის ვაპატიებთო.

**— ჩვენ უკვე მივედით იქამდე, რომ პრემიერ-მინისტრს სახლში უხტებიან შეძახილებით: „ჰაკიმ, გამოდი, შე მშიშარა!“**

– მოდი, პირდაპირ ვთქვათ, ეს არ იყო მშვიდობიანი აქცია, ეს არის მიზანმიმართული მუშაობა მიზანმიმართული გეგმის მიხედვით. „ნაცბანდამ“ თავისი გეგმა აამუშავა ზაზა დავითაიას ცემით, ის გახლდათ ე.წ. მოთელვა და როგორც ვნახეთ, შერჩათ. ამის შემდეგ სააკაშვილს ეძლევა საშუალება, რომ გამოვიდეს და გააკეთოს დემაგოგიური განცხადებები: აი, ბატონებო, ქვეყანაში დაიწყო უმართავი პროცესები, იმატა კრიმინალმა, ეს ასეა, ის ისეა! შენ რა გგონია, ეს ყველაფერი რიგითი ადამიანების ტვინში არ ილექება, არ მოქმედებს და საბოლოო ჯამში 2016 წლის არჩევნებზე არ აისახება?

**— გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე რომ ვანო მერაბიშვილს 3 წელს შეუფარდებ, ეს უკვე კატასტროფაა. ახლა გამოვლენ და დაიწყებენ, სასამართლოს რეფორმა მიმდინარეობს და რა ვქნათო?**

– სასამართლო ცალკე საკითხი და ცალკე უბედურებაა, მაგრამ მთლიანობაში ამ საკითხებს რომ გადავხედოთ, „ნაცმოძრაობა“ ფერფლიდან წამოიმართა და ჩვენ უკვე ჩაგვითრიეს იმ თამაშში, რომელშიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევსულიყავით. არ დაგავიწყდეს, ხელისუფლებაში ერთი შტო ლაპარაკობს სხვას, მეორე – სხვას, ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს, რომ აღარავის აპატიებს, თინა ხიდაშელი ამბობს, კოჰაბიტაცია ხალხმა დაგვავალაო. ორი რადიკალურად განსხვავებული პოზიცია მოდის ხელისუფლების ერთი გუნდიდან. ეს ყველაფერი ხალხში იწვევს დაბნეულობას. ჩვენ დღეს მივდივართ იგივე წრეზე, რომელზეც 25 წლის განმავლობაში დავდივართ: მოვიდა ერთი, დაერია მეორეს, მოვიდა მესამე, დაერია მეოთხეს და ასე შემდეგ. ამ წუმპიდან ამოსვლის მშვენიერი ფორმულა თავის დროზე შემოგვთავაზა ბიძინა ივანიშვილმა და ეს ფორმულა ჩადებულია „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამაშიც – ის, ვისაც ჩადენილი აქვს დანაშაული, აუცილებლად აგებს პასუხს. ის, ვინც არის არაპროფესიონალი, აუცილებლად დატოვებს საჯარო სამსახურს, ხოლო პროფესიონალი კადრები დაინიშნებიან არაპარტიული ნიშნით. ამ ავადსახსენებელი კოჰაბიტაციის შედეგად ჩვენ მივიღეთ უკუშედეგი – ხელისუფლებამ კრიმინალებს აპატია დანაშაული და საჯარო სამსახურებში შეინარჩუნა „ნაციონალი“ დილეტანტები. ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ კეზერაშვილს არც ფული აკლია და არც ქონება, მისი მოქმედებაც „ნაციონალური“ გეგმის ნაწილია, მიჩივლა მე – მომიგო, გიჩივლათ თქვენ – მოგიგებთ და ეს გამოიწვევს საზოგადოების დემორალიზაციას. ვინ ლაპარაკობს დღეს პატივსა და ღირსებაზე? დამნაშავე კეზერაშვილი. ვინ უნდა მოიხადოს ბოდიში? შალვა ხაჭაპურიძემ და „ქრონიკამ“. ვისი ბრალია ეს ყველაფერი? „ქართული ოცნების“, რომელიც აღიარებს, პიარი არ მივარგაო. მოდი, იმაზეც ვთქვათ, ვინ არის დღეს დაზარალებული? „ნაცმოძრაობა“ ძალიან კომფორტულად გრძნობს თავს, როგორც კი მაგათ ერთ წვერს მოჰკიდებ ხელს, მაშინვე იწყება გნიასი, რომ ეს პოლიტიკური დევნაა, ამ დროს ხელისუფლება ლაპარაკობს, ყველაფერი კარგადაა ქვეყანაშიო. ვერ გავიგე, როგორ არის ყველაფერი კარგად, როცა კრიმინალები სახლში გივარდებიან და ჰაკიმ ფაშას გეძახიან?!

**— ვატყობ, მალე კეზერაშვილი ირაკლი ღარიბაშვილსაც უჩივლებს, „ნაციონალებს“ პატივი და ღირსება შეულახაო.**

– ჩვენ „ნაციონალებმა“ უკვე ჩაგვითრიეს თავიანთ წუმპეში და გვაქციეს თავიანთი გეგმის ნაწილად. ასევე ჩაითრიეს ტელევიზიები და არასამთავრობოები, ყოველდღიურად მიდის გარჩევები, რა თქვა „ნაციონალმა“, რა გააკეთა, ფეხი სად გადაუბრუნდა და რატომ გადაუბრუნდა. ფაქტობრივად, ჩვენ „ნაციონალებს“ ვუკეთებთ უფასო რეკლამას, რაშიც მილიონები უნდა დაეხარჯათ, მიიღეს უფასოდ. ხელისუფლებამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყვიტოს, უნდა თქვას, რომ ესენი არიან კრიმინალები, „ნაცმოძრაობა“ არის დესტრუქციული ძალა და მოეთხოვოს პასუხი. მეორე, რაც ძალიან საგანგაშოა, არის ის, რომ „ნაციონალიც“ და „არანაციონალიც“ დღეს იწევს საჯარო სამსახურში, მაინცდამაინც იქ უნდა იმუშაოს. რატომ არის ყველას ოცნება საჯარო სამსახურში შეტენვა? იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში შეუძლებელია ბიზნესის კეთება. რატომ? იმიტომ, რომ არ არის იაფი ფული. თუ გინდა, რომ ბიზნესი წამოიწყო, არსებობს ერთადერთი ფორმულა – მიდიხარ ბანკში, სადაც გადებინებენ შენს სახლ-კარს და გაძლევენ 18-პროცენტიან სესხს. ბოლოს ბიზნესი მთავრდება კრახით, ადამიანი კარგავს ყველაფერს და იკლავს თავს. აი, შედეგი, რაც ისევ „ნაციონალების“ წისქვილზე ასხამს წყალს. დავანებოთ თავი ბიზნესს, ძალიან მიკვირს, როცა სააკაშვილის მონები ადამიანის გატაცებაზე ლაპარაკობენ და საკადრის პასუხს არავინ სცემს. მე რომ პრემიერ-მინისტრის ადგილზე ვიყო, შინაგან საქმეთა მინისტრს მივცემდი დავალებას, ამოიღოს სტატისტიკა, 2003 წლიდან 2012 წლამდე რამდენი გატაცებაა დაფიქსირებული. პირადად მე ვიყავი ადვოკატი 5 გატაცების საქმეზე. ერთ საქმეზე სააკაშვილი გამოვიდა და ბღაოდა, ქუთაისში მოხდა დანაშაული. მე ადვოკატი ვიყავი ამ ადამიანებისა და არ მაქვს უფლება, გვარები დავასახელო, მაგრამ ვასახელებ ფაქტებს, ადამიანების გატაცების ბრალდებით დღეს რამდენიმე დამნაშავე სასჯელს ისევ იხდის. მაგ საქმეებში ვანო მერაბიშვილიც იყო ჩართული დაკავების კუთხით, ერეკლე კოდუაც, სოდ-იც და კუდ-იც. რა უნდა ახლა ამ საქმეების ამოღებას? დადე სტატისტიკა, სააკაშვილის დროს გატაცებები გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ახლაა. ბოლოს და ბოლოს, 2 წელიწადში ერთი გატაცება ფიქსირდება, ამაზეა ერთი ამბავი და წივილკივილი, ასეთი რამე სად არ ხდება? ერთი სახელმწიფო დამისახელეთ, სად არ იტაცებენ ადამიანებს? მე თავის დროზე ვსწავლობდი ამ საკითხებს და გერმანიაში ისეთი ფაქტები წამოტივტივდა, აქ არასოდეს არ მოხდება. ქმარმა ცოლი მოკლა, თურმე პატრული ყოფილა დამნაშავე, ეს რა მიდგომაა? თუ კაცს ცოლის მოკვლა უნდა, მას შემაკავებელი ორდერი ვერ გააჩერებს. კი, ბატონო, სასამართლომ ქმარს ცოლთან 300 მეტრით მიახლოება აუკრძალა, ეს საერთოდ გამორიცხავს მკვლელობას? ახლა ყვირიან, ერთ წელიწადში 24 ქალია მოკლულიო, ამათ რა ჰგონიათ, 2012 წლამდე ასეთი რაღაცები არ ხდებოდა? უფრო მეტი ხდებოდა, მაგრამ მალავდნენ. ხელისუფალი რომ ხარ, ამოიღე ხმა, თორემ „ნაციონალებმა“ და კეზერაშვილმა უკვე დაიჯერეს, რომ მათ გარეშე ქვეყანა არ შენდება და მათი სიტყვაა გადამწყვეტი. 2013 წლიდან მოყოლებული ვყვირი, კეზერაშვილი მიჩივის და მოსამართლეები მის მხარეზე არიან-მეთქი, კაციშვილი ხმას არ იღებს. კეზერაშვილის გარდა მიჩივლეს თვითონ მოსამართლეებმა, ეს ადამიანი კრიმინალი არ არის და ჩვენც შეურაცხყოფას გვაყენებ, როცა ჩვენს პროფესიონალიზმში ეჭვი შეგაქვსო. ესენი არიან სააპელაციოს მოსამართლეები – წიკლაური, იოსელიანი და არევაძე. ითხოვენ, რომ საერთოდ შემიჩერდეს ადვოკატის უფლებამოსილება, ჩემი საკითხის საბოლოო განხილვა 21 ოქტომბერს არის დანიშნული ადვოკატთა ასოციაციაში. ვინ ვისთან არის შეკრული და ვინ რას აკეთებს, ვერ გამიგია. ბოლოს და ბოლოს, ირაკლი ღარიბაშვილს უვარდებიან სახლში და შალვა ხაჭაპურიძეს რას უზამენ, ხომ წარმოგიდგენია?!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სოკოთი ინტოქსიკაციით იაშვილში კიდევ ერთი ბავშვი გარდაიცვალა




იაშვილის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში 10 წლის ბავშვი სოკოთი ინტოქსიკაციის შედეგად გარდაიცვალა. პაციენტი ქარელის რაიონიდან ძმასთან ერთად კლინიკაში რამდენიმე დღის განმავლობაში მკურნალობდა. იაშვილის კლინიკაში რჩება გარდაცვლილის ძმა. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ინფორმაციით, ბოლო დღეებში სოკოთი ინტოქსიკაციით მიმართვის ფაქტებმა იმატა.

საავადმყოფოს ტოქსიკოლოგიურ განყოფილებაში ამ დრომდე სოკოთი მოწამლული 7 პაციენტი რჩება. მსგავსი შემთხვევა კლინიკაში 15 ოქტომბერსაც დაფიქსირდა. მაშინ სოკოთი ინტოქსიკაციის შედეგად ხუთი წლის ბავშვი გარდაიცვალა. პაციენტი იაშვილის კლინიკაში რუსთავის საავადმყოფოდან იყო გადაყვანილი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრემიერი მის სახლთან გამართულ აქციას პროვოკაციას უწოდებს



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მის სახლთან მომხდარ ინციდენტზე კომენტარი გააკეთა. ღარიბაშვილმა აქციის მონაწილეებს პროვოკატორები უწოდა. როგორც პრემიერმა განაცხადა, ეს არის დესტრუქციული ძალა, რომელმაც მის სახლთან პროვოკაცია მოაწყო. ღარიბაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურას მოუწოდებს, მსგავს ფაქტებზე უფრო მეტი კონტროლი განახორციელონ.

„მსგავსი ფაქტები არის ყოვლად დასაგმობი და მიუღებელი, ჩვენ ვართ სახელმწიფო და სახელმწიფო არ დაუშვებს მსგავსი ტიპის პროვოკაციებსა და დესტრუქციულ ქმედებას, ეს არის დედაქალაქი თბილისი და სადაც არ უნდა იყოს, იქნება ეს სოფელი, რაიონი ჩვენ არ დავუშვებთ იმას, რომ მოქალაქეების გარკვეულმა ჯგუფმა, რომლებიც პირდაპირ გამოწვევად და დესტრუქციულად იქცევიან, შექმნან არეულობა და ქაოსი. პოლიციელზე როდესაც ხელს აღმართავს პროვოკატორი, დესტრუქციული ძალის მქონე ვიღაც პიროვნება, ეს არის ყოვლად დასჯადი“, – განაცხადა ღარიბაშვილმა. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# რამაზ საყვარელიძე: „ქართული ოცნება“ არხეინად არის და არ თვლის, იყოს ეფექტური, იმიტომ, რომ მას ალტერნატივა არ ჰყავს“

## რას მიიღებს ალასანია უკეთესს, თუკი ოპოზიციაში წავიდა?



რეალურად იგეგმებოდა თუ არა პუტინისა და მარგველაშვილის შეხვედრა, რა ახალი სკანდალის მომსწრენი ვხდებით და როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები ქვეყანაში?

პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ალიას“ კითხვებს პასუხობს...

— საგარეო ურთიერთობების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი მრჩევლის ვანო მაჭავარიანის განცხადებით, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მარგველაშვილი-პუტინის **შეხვედრა მზადდებოდა. იგი შეხვედრის ჩაშლაში საქართველოს მთავრობას ადანაშაულებს. სახელისუფლებო ელიტა დაირაზმა და ყველა ერთად თავს დაესხა მარგველაშვილს. მაგალითად, კვაჭანტირაძე აცხადებს, რომ პუტინთან შეხვედრა მოუმზადებლად, იგივეა, მხეცს მარტო შეუვარდე გალიაშიო...**

– მე ძალიან კარგად მახსოვს მარგველაშვილის განცხადება, – პუტინთან შეხვედრას აზრი არა აქვს, თუკი იქიდან ხელცარიელები დავბრუნდებითო. შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტ მარგველაშვილთან შეხვედრის ინიციატივა პირველად პუტინმა გააჟღერა, ამას საქართველოში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. ქართველმა ჟურნალისტმა ჰკითხა პუტინს სოჭში მიმდინარე ოლიმპიადის დროს, შეხვდებოდა თუ არა ის საქართველოს პრეზიდენტს, რაზეც პუტინმა უპასუხა, – რატომაც არა... აქედან გაჩნდა შეხვედრის იდეა. ახლა დავსვათ კითხვა, რატომ გაიხსენა დღეს ივანე მაჭავარიანმა ეს საკითხი, მას შემდეგ, უამრავი დრო გავიდა. არაფერი არ ხდება ისეთი, რაც იმ მოვლენას გაგვახსენებს, როცა ლაპარაკი იყო პუტინ-მარგველაშვილის სავარაუდო შეხვედრაზე. შეიძლება თემებმა მოიკლო მარგველაშვილთან მიმართებაში და ამიტომ გაიხსენა მაჭავარიანმა ეს შეხვედრა, ან მეორე ვარიანტია და უფრო რეალური, მაჭავარიანი ცდილობს, ბრალი დასდოს ხელისუფლებას რუსეთთან არასწორ პოლიტიკაში, რადგან, თუკი ეს შეხვედრა შედგებოდა, შეიძლება ამ შეხვედრას აზრი ჰქონოდა, თუ პრეზიდენტებს შორის იქნებოდა კონტაქტი, ეს ცუდი არ იქნებოდა. თუკი არსებობს აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკების ფორმატი, ესე იგი ამას აქვს აზრი.

— **აფხაზეთთან მოკავშირეობისა და ინტეგრაციის ხელშეკრულება, რომელსაც ჯერ პროექტის სახე აქვს, შეიძლება რუსეთის მხრიდან ჩავთვალოთ, რომ გვაშანტაჟებს, იმიტომ რომ საქართველომ დასავლური კურსი აირჩია. გაშმაგებული რუსეთისგან რას უნდა ელოდოს ქვეყანა?**

– იმაზე მეტი საფრთხე, რასაც ვართ შეყრილი, რაღა უნდა გააკეთონ? ჯარი ჰყავს შემოყვანილი, აფხაზეთი დამოუკიდებლად აღიარა. მე მაინც მგონია, რომ ეს არის აფხაზების წინააღმდეგ მიმართული გასროლა რუსეთის მხრიდან.

— **საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე აცხადებს, რომ რუსეთი საქართველოს დასჯას აპირებს ევროატლანტიკური კურსის გამო. ალბათ, ფანჯიკიძეს აქვს უფრო დეტალური ინფორმაცია, რომ ჩვენ აუცილებლად დავისჯებით, მიუხედავად იმისა, თქვენ ამბობთ, რომ ამაზე მეტი დასჯა რაღა იქნება.**

– რუსეთის მოქმედებების პროგნოზი რთული სათქმელია, თუკი საქმე დასჯაზე მიდგა, რუსეთს მარტივად შეუძლია ცხინვალიდან დაძრას შეიარაღებული არმია და საქართველო შუაზე გადაჭრას. ამის გაკეთებას სულ ერთი საათი სჭირდება. ქვეყანას, რომელმაც, ფაქტობრივად, მთელი ევროპის წინააღმდეგ გადადგა ნაბიჯი და უკრაინას გადაუარა, ერთსაათიანი მარშის გაკეთება არ გაუჭირდება, არც სინდისი შეაწუხებს და არც თავმოყვარეობა და თუ ამ მიმართულებით ამოძრავდა რუსეთი, ის მთელ თავის არსენალს გამოიყენებს. აფხაზეთთან დადებული ხელშეკრულება საქართველოსთვის შეიძლება იყოს ყვითელი ბარათი.

— **როგორ ფიქრობთ, რამდენად**

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

# დირსის კომპლექსი საზეიმო ვითარებაში 28 ნოემბერს გაიხსნება

**დირსის უბნის მომავალი მობინადრეების მოლოდინი გამართლდა, კომპანიამ პირობა შეასრულა, მშენებლობა დათქმულ ვადებში დაასრულა და კომპლექსის საზეიმო ვითარებაში გახსნის თარიღიც დაითქვა — წითელი ლენტი დირსის უბანში 28 ნოემბერს გაიჭრება.**

უკვე ახლავე შეიძლება იმის თქმა, რომ დირსის უბნის გახსნა სადღესასწაულო იქნება არა მხოლოდ კომპლექსის მომავალი მობინადრეებისთვის, არამედ მთელი თბილისისთვის.

მეტიც, 28 ნოემბერი ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის საუკუნოვანი მეგობრობის ისტორიაში ჩაიწერება როგორც კიდევ ერთი წინ გადადგმული და ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი, კომპლექსის ულამაზეს ბულვარს კი სიმბოლურად „მეგობრობის ბულვარი“ დაერქმევა.

დირსის უბანი სწორედ აზერბაიჯანული ჰოლდინგის „ეი ეს გრუპ ინვესტმენტის“ კაპიტალით აშენდა და ჩვენი დედაქალაქის განვითარების მხრივ მართლაც დიდი საქმე გაკეთდა, რაც ჯერჯერობით დასასრულს სულაც არ ნიშნავს და სამომავლოდ კიდევ არაერთი მასშტაბური პროექტის განხორციელებაა დაგეგმილი.

ამ ყველაფრის მიუხედავად, რატომღაც აზერბაიჯანული ინვესტიცია თავდაპირველად საზოგადოების გარკვეულ ნაწილში უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზი გახდა, თუმცა უმრავლესობისთვის ეს ფაქტი პირიქით – უფრო მეტი საიმედოობის ნიშანი გამოდგა: ვინაიდან საუბარი იყო მსხვილ კაპიტალდაბანდებაზე, საერთაშორისო მასშტაბების მქონე კორპორაციაზე, ცხადი იყო, რომ პროექტი აუცილებლად დასრულდებოდა და იმედები არავის გაუცრუვდებოდა, რისი გამოცდილებაც ქართულ ბაზარს სამწუხაროდ, აქვს.

მართლაც, დაპირებისამებრ, 2 წელიწადში 11 საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა და პირველი ეტაპი მთელი თავისი ინფრასტრუქტურით, რაც გათვალისწინებული იყო, წარმატებით დასრულდა.

დღეს უკვე „ეი ეს გრუპ ინვესტმენტი“ და მისი შვილობილი ქართული კომპანია „ას ჯორჯია“, რომელმაც დირსის უბნის პროექტის განხორციელება იტვირთა, კომპლექსის საზეიმოდ გახსნისთვის ემზადებიან.



როგორც ირკვევა, საუბარია 3 საზეიმო დღეზე, თბილისობის მსგავს ღონისძიებებზე, რომელთა ფარგლებშიც საქართველოს ეწვევიან როგორც აზერბაიჯანელი ინვესტორები, ისე ქვეყნის ოფიციალური პირები, მთავრობის წევრები. ასევე, ბიზნესმენები მსოფლიოს არაერთი ქვეყნიდან, რომლებიც ქართულ ბაზარზე საკუთარი კაპიტალდაბანდებით არიან დაინტერესებულნი. თუკი გახსნის პირველი დღე ოფიციალური, ბიზნესფორმატის იქნება, მეორე დღეს მთელი თბილისის მობინადრეებს მიეცემათ შესაძლებლობა, ახალი უბანი დაათვალიერონ და ქართულ-აზერბაიჯანული ფოლკლორის ნიმუშებით ისიამოვნონ. ბუნებრივია, ღონისძიებებზე მიწვეულები იქნებიან საქართველოს მთავრობის წევრები, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, ცნობილი სახეები და რიგითი მოქალაქეები.



ცნობილია ისიც, რომ ვინაიდან დირსის უბნის მასშტაბები სულ უფრო ფართოვდება, შენდება სასტუმრო, მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი, სავაჭრო ცენტრი „დირსი მოლი“ და ასე შემდეგ, უკვე გამოჩნდნენ სხვა ინვესტორები არა მხოლოდ აზერბაიჯანიდან, არამედ ბიზნესსექტორის წარმომადგენლები მსოფლიოს არაერთი ქვეყნიდან.

რაც შეეხება სასტუმროს, მოლსა და სამედიცინო ცენტრს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის გახდება თბილისის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი, საქართველოში კი ყველაზე განსხვავებული სავაჭრო ცენტრი – ნახევარი ტერიტორია იქნება ღია ცის ქვეშ თავისი გამწვანებული ზონებით. გარდა კომერციული ობიექტებისა, იქვე იქნება აუზები, სპორტული დარბაზები, კინოთეატრები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. მოლის მშენებლობა 2016 წლამდე აუცილებლად დასრულდება. რაც შეეხება პრეზენტაციასა და ინვესტორების დასახელებას, ეს ყველაფერი კომპლექსის გახსნისას მოხდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დირსის უბნის გახსნასთან დაკავშირებული საზეიმო ღონისძიებები 3 დღის მანძილზე გაგრძელდება: პირველი დღე კულტურულ ღონისძიებებს დაეთმობა, სადაც წარმოდგენილი იქნება როგორც აზერბაიჯანული, ისე ქართული ფოლკლორი. იმღერებს უამრავი ცნობილი მომღერალი. ასევე, სტუმრები დააგემოვნებენ კულინარიულ შედევრებს.

მეორე დღე დაეთმობათ ვიზიტორებს სახელმწიფო სტრუქტურიდან, ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს. აქვე წარმოდგენილი იქნებიან ის ინვესტორები, რომელთაც სურთ სავაჭრო ობიექტების გახსნა როგორც მოლში, ისე ბულვარისპირა ტერიტორიაზე.

მესამე დღეს კი დაგეგმილია გალა ღონისძიება, რომელსაც დაესწრებიან საპატიო სტუმრები, მოხდება წითელი ლენტის გაჭრა და ეს იქნება ნიშანი იმისა, რომ დირსის უბანი რეალურ სასიცოცხლო ფუნქციას შეიძინეს.

**28 ნოემბერი დირსის დღედ ჩაიწერება როგორც თბილისის, ასევე ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების ისტორიის წიგნში.**

***მიხეილ სახვაძე***

*მეხუთე გვერდიდან*

**გამოკვეთილია პროდასავლური კურსი ხელისუფლების მიერ და ხომ არ მოხდება კურსის ცვლა ჩრდილოეთისკენ?**

– იცით, როგორ მდგომარეობაში ვართ? მძღოლი მოსახვევში რომ შედის და „პავაროტნიკს“ არ რთავს, იმიტომ, რომ ალტერნატიული მოსახვევი არ აქვს. ალტერნატივა რომ გვქონდეს, შეიძლება ამაზე ფიქრი, მაგრამ, როცა დასავლეთთან ურთიერთობის გარდა სხვა ალტერნატივა არ გაქვს, რა შეცდომებზეა ლაპარაკი, ჩვენ ისე ვმოქმედებთ, როგორც შეგვიძლია მოქმედება. მადლობა ღმერთს, რომ საქართველო არ წავიდა იმ გზით, რა გზითაც წავიდა სომხეთი და არ გამოუცხადა რუსებს, რომ ჩვენ ვართ მათი პლაცდარმი. ჩვენ ვხედავთ, რა დღეშია სომხეთი ასეთი მორჩილი პარტნიორული როლის გამო. ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი სომხური ბიზნესი რუსეთმა ხელში ჩაიგდო ამ დათმობით და არც კი აპირებს სომხეთისთვის რაიმე შეღავათის მიცემას. რუსეთს უმტრობ თუ უმეგობრებ, ამით არაფერი იცვლება. თუ მტრულად ხარ რუსეთთან, ამ შემთხვევაში ვუადვილებთ დაპყრობას, ეს ჩვენ უკვე ვნახეთ 2008 წელს, როცა სააკაშვილი გადავიდა აგრესიულ პოლიტიკაზე რუსეთთან. ფაქტობრივად, იძულებულები ვართ, დიპლომატიური მაგიდიდან ვებრძოლოთ რუსეთს ჩვენი ინტერესებისთვის. თანაც, ეს ინტერესები არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დათმო, თორემ მერე უარესს იზამს.



„დავსვათ კითხვა, რას მიიღებს ალასანია უკეთესს, თუკი ოპოზიციაში წავიდა? მარტო ალასანია ხომ ვერ მოიპოვებს გამარჯვებას? რატომ უნდა წავიდეს ოპოზიციაში? ჯერჯერობით მისთვის უფრო მყარი ადგილი კოალიციაში ყოფნაა“

**— გეკითხებით, როგორც ფსიქოლოგს, თქვენი აზრით, საზოგადოება რამ გაამხეცა? ოჯახური ძალადობა, მკვლელობები, ადამიანების დაუთოება, დაყაჩაღება, რომელსაც სისტემური სახე აქვს, რა არის ამის მიზეზი?**

– კარგი იქნებოდა, სახელმწიფოს არ დაეხურა ფსიქოლოგიის ინსტიტუტი და შესწავლილიყო და სახელმწიფოს მიეცა მისთვის დავალება, გამოეკვლია, რა განწყობებია საზოგადოებაში, რა მდგომარეობაშია საზოგადოება და რა არის ამ ყველაფრის გამომწვევი მიზეზები. ოჯახურ ძალადობაზე გაჩნდა მოსაზრება, რომ პოლიცია უნდა გააქტიურდეს. რა შუაშია პოლიცია. პოლიციის ძალით ამ პროცესს ვერ შეაჩერებ. დაუკვირდით, რა ხდება, ბევრ შემთხვევაში ცოლების მკვლელობის შემდეგ, ქმრები იკლავენ თავს. ამას არ ჰქვია კრიმინალი, ეს არის აფექტების სერია. აფექტი კი ისეთი რამაა, რომ მას პოლიციის შიშით ვერ შეაჩერებ. თავისთავად ძალიან საინტერესოა, რატომ გვაქვს ასეთი მძიმე ემოციური ფონი. ნუ ჩავთლით, რომ ამის მიზეზი მხოლოდ გაჭირვებული ცხოვრებაა, თუმცა ამასაც თავისი წვლილი მიუძღვის. ამას ემატება ის დაძაბულობა, რაც ტელეეკრანებიდან მოდის, ჩვენ საერთოდ ემოციური კულტურა ვართ, რაც უფრო ნაკლებ ინტელექტუალია ადამიანი, ნაკლებ განათლებული, მისი ჭარბი ემოცია უფრო საშიშ ფორმებს იღებს და ადვილად შეუძლია, ადამიანი მოკლას, ასეთი ბევრი მაგალითი არსებობს. როცა ამერიკაში მწეველთა რაოდენობამ კოლოსალურ ციფრს მიაღწია, ამერიკის სახელმწიფომ სპორტის პროპაგანდა დაიწყო. თუკი მოწევის ჩვევა შეიძლება დაიძლიოს, ემოციური რეაქციაც ჩვევაა, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან პროპაგანდის გატარება. მოსახლეობის ნაწილს ფიქრი არ ეძვირფასება, ის რაც ხდება, ხალხის ბრალიცაა. გაიარეთ, რა ხდება. მარტივ მაგალითს გეტყვით... ყველა ნაბიჯზე რესტორანია და წიგნის მაღაზია სანთლით უნდა ეძებო, რაც ნიშნავს, რომ მოსახლეობაში წიგნზე მოთხოვნილება არ არსებობს. ამ ქვეყანაში ცოტაა ინტელექტუალი. ამის შედეგია ის, რასაც ჩვენ ვხედავთ.

**— საზოგადოებაში ჩნდება განწყობა, რომ ხელისუფლება მართვის სადავეს კარგავს და ის არ არის ძლიერი ისეთ მტერთან, როგორიც „ნაცმოძრაობაა“. ჩვენ ვნახეთ, რომ ვანო მერაბიშვილს გირგვლიანის საქმეზე სამი წელი მიუსაჯეს, რამაც საზოგადოება ძალიან აღაშფოთა. ასევე, ვნახეთ, პრემიერ-მინისტრის სახლთან ბაჩო ახალაიას მხარდამჭერებმა პროვოკაცია რომ მოაწყვეს და მას მკვლელი ეძახეს. ჩვენ არ ვიცით, ვინ მოკლა ღარიბაშვილმა, სამაგიეროდ ვიცით, რამდენი გვამი და სისხლია ახალაიების, სააკაშვილების, მერაბიშვილების კისერზე. ეს პროტესტით გამოწვეული აგრესია ხალხმა სად უნდა წაიღოს?**

– თქვენ საკმაოდ რთული საკითხი დასვით, მგონია, რომ ხელისუფლებას მოუწევს ფიქრი თქვენს დასმულ საკითხებზე, მაგრამ ეს ფიქრი არ იქნება შედეგიანი, თუ არ გაჩნდა ოპოზიციური ძალა. ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, მის ალტერნატივას არ წარმოადგენს, ხალხი „ნაცმოძრაობას“ ხელისუფლებაში არ დააბრუნებს, რამდენადაც არ უნდა იყოს უკმაყოფილო საზოგადოება ხელისუფლებით. შესაბამისად, ხელისუფლებისთვის, იყოს მეტად ეფექტური, აუცილებლობას არ წარმოადგენს. ამიტომაა მრავალპარტიულობა საჭირო, რომ კონკურენტმა ხელისუფლება აიძულოს, იყოს მაქსიმალურად კარგი. ჩვენ ასეთი კონკურენცია პარტიებს შორის მოვსპეთ. ეს ჩვენ, ამომრჩევლებმა, გავაკეთეთ. პერსპექტივას ამომრჩეველი მხოლოდ ერთ პარტიას აძლევს, სხვას კი კლავს. ასეთ ქვეყანაში ყოველთვის მივიღებთ ისეთ ხელისუფლებას, რომელიც ცოცხებით გამოგვეკიდება, იძალადებს ჩვენზე, ან იქნება პასიური და თავის საქმეს ვერ შეასრულებს. ჩვენ მუდამ უკმაყოფილო ვიქნებით და ამ ჩვენს უკმაყოფილებას შედეგი არ ექნება, თუკი პოლიტიკურ ბაზარზე ოპოზიციების სახით კონკურენტები არ შევქმენით და ხელი არ შევუწყვეთ. პოროშენკომ როცა ნახა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი დადგა, საომარი მოქმედებების გამო, იმ



„რატომ გიკვირთ, რომ მერაბიშვილისა და ახალაიას მიმართ ხდება ასეთი განაჩენების დადგომა და არ გამიკვირდება, რომ მერაბიშვილი „უდო“-თი გამოუშვან. ამაზეც არის საუბარი, რომ შესაძლოა, ის ვადაზე ადრე შეიწყალონ“

დასკვნამდე მივიდა, რომ კადრები უნდა გამოცვალოს. მან დაიწყო კადრების ცვლა, მათ შორის პროკურატურაში. ჩვენ ორი წელია ვუყურებთ იმას, რომ სამართალდამცავი უწყებები არ აკეთებენ საქმეს ისე, როგორც საზოგადოების დიდი ნაწილი თვლის საჭიროდ. ერთი კაცი მაინც ამ სისტემაში გამოიცვალა იმ მოტივით, რომ ის საქმეს ვერ აკეთებს? ჰოდა, რატომ გიკვირთ, რომ მერაბიშვილისა და ახალაიას მიმართ ხდება ასეთი განაჩენების დადგომა და არ გამიკვირდება, რომ მერაბიშვილი „უდო“-თი გამოუშვან. ამაზეც არის საუბარი, რომ შესაძლოა, ის ვადაზე ადრე შეიწყალონ. თუ პოროშენკოს შეუძლია, საკადრო ცვლილებების გატარება ომის ფონზე, მას ქვეყნის შიგნითაც უპირისპირდება ოპოზიცია, ის დგამს ამ ნაბიჯს იმიტომ, რომ ხვდება, რამდენად მნიშვნელოვანია ეფექტურობა, რომ შეინარჩუნოს თავისი პოსტი. „ქართული ოცნება“ არხეინად არის და არ თვლის, იყოს ეფექტური, იმიტომ, რომ მას ალტერნატივა არ ჰყავს. ამიტომ თუ არ გამოჩნდა ისეთი ოპოზიციური ძალა, რომელიც უკმაყოფილო ხალხის ხმებს წაიღებს, მანამდე იქნება ასეთი არაეფექტური ეს ხელისუფლება.

**— თუკი ირაკლი ალასანია გადადგება, ან გაათავისუფლებენ თავდაცვის მინისტრის პოსტიდან, ჩვენ ვიცით, რომ 8 ნოემბერს ის კვლავ თავისი პარტიის თავმჯდომარე ხდება, თუკი ის ოპოზიციაში გადავა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ხელისუფლების ალტერნატიული ძალა გამოჩნდება? მეტიც, ჩვენი ინფორმაციით, ის აძლიერებს საკუთარ პარტიას, რაც თეა წულუკიანთან ჰქონდა სერიოზული მოლაპარაკება, რომ დაბრუნებულიყო პარტიაში, რაზეც წულუკიანმა უარი განაცხადა. ნიშნავს თუ არა, რომ ის სერიოზული ბრძოლისთვის ემზადება?**

– მოდით, დავსვათ კითხვა, რას მიიღებს ალასანია უკეთესს, თუკი ოპოზიციაში წავიდა? მარტო ალასანია ხომ ვერ მოიპოვებს გამარჯვებას? რატომ უნდა წავიდეს ოპოზიციაში? ჯერჯერობით მისთვის უფრო მყარი ადგილი არის კოალიციაში ყოფნა. როცა სააკაშვილი და ჟვანია წავიდნენ ოპოზიციაში, წლები მუშაობდნენ იმაზე, რომ ყველა სექტორში გაჩენილიყო პროტესტი და თვითონ ამ საპროტესტო ტალღის ქვეშ მოქცეულიყვნენ, ასეც წარიმართა მოვლენები. ასე გულხელდაკრეფით ოპოზიციური პარტიის ლიდერობა არ კეთდება. ასე რომ, ჯერჯერობით კარდინალური ცვლილებების მოლოდინში არ ვარ. არც კოალიციის დაშლას ველოდები ამ ეტაპზე, გულწრფელად გეუბნებით და არც იმას ველოდები, რომ პარლამენტსგარეთ გაჩნდებიან ოპოზიციური ძალები, რომლებიც ხელისუფლების ალტერნატივა გახდება. თუ პოლიტიკური დისბალანსი არ შეიქმნა და ყველაფერი მდორედ დარჩა, ასეთ შემთხვევაში, არ მგონია, „ქართულმა ოცნებამ“ თავის სტილს უღალატოს.

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აჭარაში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ საგანგებო შტაბი შეიქმნა



შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრ „112“-ში 19 ოქტომბერს შევიდა შეტყობინება იმის შესახებ, რომ აჭარის სანაპირო ზოლში დაფიქსირდა 5-ბალიანი შტორმი. სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის მიზნით, ბათუმში შეიქმნა კრიზისების მართვის ოპერატიული ცენტრი, რომლის მართვის კოორდინაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს. ცენტრის შემადგენლობაში შედიან შს სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფები და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურები.

ძლიერი წვიმის შედეგად აჭარაში მდინარეები ადიდდა და კალაპოტიდან გადმოვიდა, რამაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დატბორა. ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მე-20 კილომეტრზე, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგანში ადიდებულმა მდინარემ გზას გამოაცალა საყრდენი და საავტომობილო გზის სავალი ნაწილი ნაწილობრივ შევიწროვდა.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ თბილისიდან აჭარისა და იმერეთის რეგიონებში მობილიზებულია შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო ჯგუფები შესაბამისი აღჭურვილობითა და ტექნიკით, რომლებიც ადგილობრივ სახანძრო-სამაშველო დანაყოფებთან ერთად სამაშველო ღონისძიებებს ახორციელებენ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ესპანეთში ძარცვაში ბრალდებული ქართველი ,,კანონიერი ქურდები“ დააკავეს



ესპანელმა სამართალდამცავებმა ქურდობაში ბრალდებული საქართველოს 28 მოქალაქე დააკავეს. მადრიდში ჩატარებული სპეცოპერაცია „ქართულის“ ფარგლებში დაკავებულ ქართველებს შორის ე.წ. „კანონიერი ქურდებიც“ არიან.

წინასწარი ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქეებს ესპანეთის საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლები 50-მდე საცხოვრებელი სახლის ძარცვაში ადანაშაულებენ. ამოღებულია ძარცვის შედეგად მითვისებული ნივთებისა და თანხის ნაწილი. ცნობილია, რომ სპეცოპერაციას ესპანელი სამართალდამცავები გასული წლის 6 ივნისიდან აწარმოებდნენ. (ნიუპოსტი)

## ლანჩხუთის გამგეობაში ფინანსური პოლიცია მეორედ შევიდა



საფინანსო სამსახურმა მუნიციპალიტეტის ათ სოფელში შესრულებული წყლის პროექტები უნდა შეისწავლოს. სოფლებში წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები გასული წლის დეკემბრის ბოლოს ჩატარდა.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტი უკვე დასრულებული და ჩაბარებულია, მოსახლეობისთვის წყლის მიწოდება სრულფასოვნად ვერ ხერხდება და ამასთანავე, ახლად შეცვლილი მილებიც უკვე მწყობრიდანაა გამოსული.

ლანჩხუთის გამგებელი, ზაზა ურუშაძე, გამგეობაში ფინანსური პოლიციის შესვლასთან დაკავშირებით ინფორმაციას არც უარყოფს და არც ადასტურებს და ამბობს, რომ ამ თემაზე კომენტარს ვერ გააკეთებს. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





ალასანიას ამბიციები ამ ეტაპზე თითქოს დაკმაყოფილებულია, მაგრამ ის მაინც ვერ ისვენებს, დამოუკიდებლობა სწყურია, ბოლოს და ბოლოს, მიაჩნია, რომ რეიტინგული ფიგურაა და ასევე რეიტინგული პარტიის თავმჯდომარე. ამასთანავე, თავისი ამერიკელი პატრონები აქეზებენ, რომ საკუთარ იმიჯსა და პოლიტიკურ მომავალზე იფიქროს

ისევ ვიღაცას და რაღაცას უწევს ანგარიშს. უფრო მეტად კი, არ უნდა, დასაწყისშივე დაპირისპირებას და კინკლაობას ჰქონდეს ადგილი. ალასანიას ამბიციები ამ ეტაპზე თითქოს დაკმაყოფილებულია, მაგრამ ის მაინც ვერ ისვენებს, დამოუკიდებლობა სწყურია, ბოლოს და ბოლოს, მიაჩნია, რომ რეიტინგული ფიგურაა და ასევე რეიტინგული პარტიის თავმჯდომარეა.

ურტყამს. მაგალითად, როდესაც ის ლაპარაკობს, რომ საქართველოში ნატოს სარაკეტო სისტემები უნდა განლაგდეს, ძალიან კარგად იცის, ამ განცხადებას რა რეაქციაც მოჰყვება, მაგრამ მაინც მიდის პროვოკაციაზე. მერე რა, თუკი ამის შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილს უწევს უცხოეთში განმარტებების გაკეთება და თავის მართლება? დიახ, თავის მართლება, რადგან სარაკეტო სისტემების განლაგების შესახებ თვით ნატოს შტაბ-ბინაშიც კი არაფერი იციან. როგორც ერთ-ერთი მოქმედი მაღალჩინოსანი ამბობს „ალიასთან“ საუბარში (მას ვინაობის გამხელა არ სურს), სირიელი მეამბოხეების ტრენინგცენტრის გახსნის იდეაც ალასანიას ეკუთვნის. რა არის ეს – მორიგი ავანტიურა თუ დაგეგმილი პროვოკაცია? ინკოგნიტო წყაროს

ყოფილი ელჩის, თემურ იაკობაშვილის ყოფილი მოადგილე. საუბარია იმ პერიოდზე, როცა იაკობაშვილი ელჩი იყო ამერიკაში, კერძოდ გაეროში. სწორედ ეს დარჩიაშვილი დაუკავშირდა საელჩოში თავის ნაცნობებს და მათი მეშვეობით დაიგეგმა სპექტაკლი. ერთი მხრივ გააბითურეს ელჩი – არჩილ გეგეშიძე, ხოლო მეორე მხრივ, საქმე გაუფუჭეს ირაკლი ღარიბაშვილს. გეგეშიძე დააპატიჟებინეს ერთ-ერთ მიღებაზე, სადაც სპეციალურად მიიყვანეს „foreign policy“-ის ჟურნალისტი, რომელიც არის საელჩოში მომუშავე ერთ-ერთი ქალის ახლობელი და ასევე გიგა ბოკერიას ნაცნობიც. სწორედ მათი ერთობლივი დაგეგმვის შედეგად დაბეჭდეს სტატია, სადაც ჩვენი ქვეყნისთვის არასასიამოვნო აქცენტებია გაკეთებული, საქართველოს

# დიპლომატიური სკანდალი

## ვინ გახვია აშშ-ში საქართველოს ელჩი არჩილ გეგეშიძე სკანდალში?

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გარშემო წრე ნელ-ნელა იკვრება. თუ გიორგი მარგველაშვილი ბავშვივით ჟინიანობს, ამერიკაში, ბრიუსელსა და დავოსში რომ მიდიხართ, მეც წამიყვანეთო, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია პროვოკაციას პროვოკაციაზე აწყობს. ჯერ იყო: „ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ“? ანუ ცნობილი ფარული ჩანაწერი, სადაც აშკარად ჩანს, რომ ალასანია უკმაყოფილოა ბიძინა ივანიშვილით, რას აკეთებს და რა უნდა, ვერ გამიგიაო. იმ ეტაპზე, 2012 წლის არჩევნების წინა პერიოდში ივანიშვილის კარზე მას სერიოზულ ფიგურად არ თვლიდნენ, მაგრამ ამბიციები ნამდვილად აწუხებდა. არადა, ქართველი ხალხის ნდობის მოსაპოვებლად რამდენიმე ამერიკელი ჩინოვნიკის მფარველობა სულაც არ არის საკმარისი. მაშინ ალასანია პრემიერ-მინისტრობაზე არ (ვერ) ფიქრობდა, მაგრამ სამეგრელოში არჩევნების მოგებაზე ნამდვილად ჰქონდა პრეტენზია. თუმცა აქ ერთი რამ უშლიდა ხელს – შიში. ამიტომ ზუგდიდში ჩასულს ისეთი კაცი სჭირდებოდა, რომელიც ხელს მოჰკიდებდა და ქუჩა-ქუჩა ატარებდა. ეს მისია კახა მიქაიამ კი შეასრულა ცოტა ხანს, მაგრამ არჩევნები მაინც ვერ მოაგებინა, ერთხელაც ყელში ამოუვიდა და პირდაპირ მიახალა: არც შენი პარტიის წევრი ვარ, არც „ქართული ოცნების“ აქტივისტი, ვერ გავიგე, მუდმივად რატომ უნდა გდიო კუდშიო? ირაკლი ალასანიამ არჩევნები წააგო, როლანდ ახალაიას დანებდა. ამან ბიძინა ივანიშვილი გააცოფა. მოგვიანებით ისიც გაირკვა, რომ მისი ფონდიდან საარჩევნოდ წაღებული მილიონი ლარი არცთუ პატიოსნად დაიხარჯა. ივანიშვილმა ანგარიშის ჩაბარება და ახსნა-განმარტებები მოითხოვა, ალასანიამ რაღაც მოახლაფორთა, თითქოს თავი გაიმართლა და მომავალმა პრემიერმაც ვითომ დაუჯერა. არადა, მას იმ ეტაპზე სხვა გზა არ ჰქონდა – ჯერ ერთი, შიდა დაპირისპირებას მოერიდა და მეორეც – ალასანიას ამერიკელ მამებს ანგარიში გაუწია. გაიხსენეთ, როგორ ჩავიდა ზუგდიდში არჩევნების დღეს ამერიკის ელჩი, რიჩარდ ნორლანდი და როგორ დაუჭირა მხარი ირაკლი ალასანიას. მაშინ თქვეს, ზუგდიდში ახალაიები პროვოკაციების მოწყობას აპირებდნენ და რაკი ნორლანდი ჩავიდა, გადაიფიქრესო. „ნაციონალებმა“ სამეგრელოში თავიანთი საქმე მაინც გააკეთეს, არჩევნები მოიგეს, რატომღა უნდა მოეწყოთ პროვოკაციები? ნორლანდის ჩასვლა ზუგდიდში იყო მხოლოდ მხარდასაჭერი აქცია და მეტი არაფერი. მართალია, ალასანიამ წააგო და ამის გამო ბიძინა ივანიშვილისგან საყვედურები და „ყვითელი ბარათიც“ მიიღო, მაგრამ მისთვის ეს ტრაგედიას არ წარმოადგენდა, ვინაიდან კოალიციის საარჩევნო სიაშიც ჰყავდათ შეყვანილი, პარლამენტის წევრი მაინც გახდა.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ირაკლი ალასანიას თავდაცვის მინისტრად ნიშნავს. ძალიანაც არ სიამოვნებს ამისი გაკეთება, მაგრამ ამასთანავე, თავისი ამერიკელი პატრონები აქეზებენ, რომ საკუთარ იმიჯსა და პოლიტიკურ მომავალზე იფიქროს. ვინაიდან მან კარგად იცის, ჯერჯერობით ივანიშვილის რეიტინგს ვერც კი მიუახლოვდება, იწყებს დაუმორჩილებელი მინისტრის როლის მორგებას – აფორმებს მივლინებებს ჯერ საფრანგეთში, შემდეგ კი დუბაისა და თურქეთში, სადაც ხვდება საეჭვო პირებს, ანუ „ნაციონალებს“. ბიძინა ივანიშვილი ისევ ცოფდება, მას პირდაპირ მთავრობის სხდომაზე ეკითხება: ირაკლი, ასე რომ დადიხარ უცხოეთის ქვეყნებში, როგორც პრემიერ-მინისტრმა, ამის შესახებ არაფერი უნდა ვიცოდეო? ალასანია ისევ ახლაფორთებს რაღაცას, ისევ იწყებს თავის მართლებას, მაგრამ ივანიშვილი არაფერს არ მალავს, ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ჩემი შეკითხვის შემდეგ ყველაფერს ადასტურებს. ამის შესახებ ჩვენმა მკითხველებმა იცით, უკვე არაერთხელ დავწერეთ, მაგრამ ფაქტია, ირაკლი ალასანია თავის ავანტიურას განაგრძობს – მას ამბიციები და პოლიტიკური მადა გაეზარდა. „ენდიაის“ რეიტინგის გამოქვეყნების შემდეგ თვითონაც კი დაიჯერა, რომ საქართველოში ყველაზე პოპულარული ფიგურაა. ამერიკელებმა იციან, როგორ შეგაყარონ თვალებში ნაცარი და ხშირად უმართლებთ კიდეც.

ბიძინა ივანიშვილის გადადგომის შემდეგ ალასანია ისევ იწყებს დამოუკიდებელ ჩალიჩს, ოღონდ ამჯერად ირაკლი ღარიბაშვილს



„გეგეშიძე დააპატიჟებინეს ერთ-ერთ მიღებაზე, სადაც სპეციალურად მიიყვანეს „ფორეიგნ პოლიცყ“-ის ჟურნალისტი, რომელიც არის საელჩოში მომუშავე ერთ-ერთი ქალის ახლობელი და ასევე გიგა ბოკერიას ნაცნობიც. სწორედ მათი ერთობლივი დაგეგმვის შედეგად დაბეჭდეს სტატია, სადაც ჩვენი ქვეყნისთვის არასასიამოვნო აქცენტებია გაკეთებული, საქართველოს მთავრობამ ძლივს აიცილა საფრთხე“

აზრით, ეს არის ერთიც და მეორეც:

„ირაკლი ალასანიამ თავის მოადგილეს, მიშა დარჩიაშვილს დაავალა „foreign policy“-ში სტატიის განთავსება პრემიერის ამერიკაში ჩასვლამდე. მიზანი იყო პრემიერის უხერხულობაში ჩაყენება ამერიკელებთან. მიშა დარჩიაშვილი, რომელიც არის გიგა ბოკერიას უახლოესი მეგობარი და მთავრობამ ძლივს აიცილა საფრთხე“.

23 სექტემბერს ამერიკული გამოცემა „Foreign Policy“ აღნიშნულ სტატიას კიდევ ერთხელ მიუბრუნდა და განაცხადა, რომ საქართველომ აშშ-ს სირიელი მეამბოხეებისთვის საწვრთნელი ცენტრის განთავსება

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### გლდანში ხანძრის შედეგად 83 წლის მოხუცი დაშავდა



გლდანში 26 მაისის ქუჩაზე ხანძრის შედეგად ერთი მოქალაქე დაშავდა. 83 წლის ეკატერინე მაისურაძის გადარჩენა მეხანძრეებმა შეძლეს. დაშავებულის მდგომარეობა ამ ეტაპზე სტაბილურია. არსებული ინფორმაციით, ცეცხლი კერძო საცხოვრებელ სახლს გაუჩნდა. სპეციალისტებმა ცეცხლის ლოკალიზება დროულად შეძლეს.

ხანძრის შედეგად საცხოვრებელი სახლის პირველი და მეორე სართულები, ასევე, სახურავი დაზიანდა, განადგურებულია საყოფაცხოვრებო ტექნიკა. ხანძრის გამომწვევ მიზეზებს სამართალდამცავები ადგენენ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### 2015 წელი ქალის წლად გამოცხადდება



პრეზიდენტის თქმით, საქართველოში 2015 წელი ქალის წლად გამოცხადდება. გიორგი მარგველაშვილი რელიგიური კონფესიების ლიდერებს შეხვდა და ბოლო პერიოდში ქალთა მიმართ ძალადობის გახშირებულ ფაქტებთან დაკავშირებით თავისი შეხედულება გააცნო.

სასულიერო ლიდერებმა დაგმეს ქალთა მიმართ ძალადობა და შეთანხმდნენ, რომ შეიქმნება საბჭო, რომელიც კოორდინირებულად შეიმუშავებს გრძელვადიან სამოქმედო გეგმას და მისი მიზანი სწორედ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია იქნება. პრეზიდენტმა ასევე დაუჭირა მხარი რელიგიურ ლიდერთა ინიციატივას მომავალი წლის ქალის წლად გამოცხადების თაობაზე.

„ერთმანეთს გავუზიარეთ ის ტკივილი, რომელიც ყველას ერთად გვტკივა და გადავწყვიტეთ, რომ ჩამოვაყალიბებთ სამოქმედო გეგმას, უფრო გრძელვადიანს. მე ჩემს რიტორიკაში, სადაც შევძლებ, ხაზს გავუსვამ ამ პრობლემას, ამასთანავე, ყველა სარწმუნოების წარმომადგენელი თავის ქადაგებებში გაააქტიურებს ამ საკითხზე მსჯელობას და მესამე – შეხვედრა დავიწყეთ იმით, რომ ჩვენ ავიღებდით იმ წილ პასუხისმგებლობას, რაც სახელმწიფოს აქვს და მერე მოხდა იმის გააზრება, რომ მარტო სახელმწიფო ამას ვერ დაძლევს და სწორედ ამიტომ ჩვენ გვჭირდება ერთად დგომა“, – განაცხადა პრეზიდენტმა. (ნიუპოსტი)

*მეშვიდე გვერდიდან*

ნამდვილად შესთავაზა. თუმცა მას შემდეგ, რაც ამ ინფორმაციას ქვეყნის შიგნით დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა, საქართველომ შეთავაზების შესახებ ინფორმაცია უარყო:

„სექტემბრის დასაწყისში, თბილისში ვიზიტით მყოფ აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჩაკ ჰეიგელს სირიელი მეამბოხეების გაწვრთნა მართლაც შესთავაზეს და პენტაგონი ამ საკითხს განიხილავდა, მაგრამ მოგვიანებით ქართველმა ოფიციალურმა პირებმა ეს შეთავაზება უარყვეს. მათგან განსხვავებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არ უარყვია შეთავაზების არსებობა და განცხადებაც გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ საქართველო განიხილავს, რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

„Foreign Policy“-ის ჟურნალისტი, ჯონ ჰადსონი ამტკიცებს, რომ ეს ინფორმაცია ამერიკელ მაღალჩინოსნებზე დაყრდნობით გაავრცელა და დასტურად აშშ-ში საქართველოს ელჩის, არჩილ გეგეშიძის კომენტარი მოჰყავს: „საწვრთნელი ცენტრის გახსნა ჩვენ შევთავაზეთ, თუმცა ეს საკითხი კვლავ განხილვის ქვეშაა“. თუმცა, როგორც ჟურნალისტი აღნიშნავს, არჩილ გეგეშიძემ ეს ინფორმაცია არ დაადასტურა. გეგეშიძის განცხადებით, ჟურნალისტმა მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არასწორად გაიგო. არადა, ჯონ ჰადსონი ამბობს, რომ პასუხს აგებს სტატიაში მოყვანილ ფაქტებზე და არაფრის შესწორებას არ აპირებს. როგორც ინკოგნიტო წყარო ამბობს „ალიასთან“, სირიელ ამბოხებულებთან დაკავშირებითაც ღარიბაშვილს მოუწია სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა, მან გააკეთა განმარტებები, სადაც საჭირო იყო.

ამასთან დაკავშირებით ირაკლი ღარიბაშვილმა პირდაპირ განაცხადა: „ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შეძლებს საქართველოს ტერიტორიაზე თავისი შეიარაღებული ძალების განლაგებას, ხელისუფლების ნებართვის გარეშე“. აქ იგულისხმება როგორც საწვრთნელი ბაზები, ასევე თავდაცვითი სისტემები. ამ განცხადებას მოჰყვა ამერიკის ელჩის, რიჩარდ ნორლანდის აშკარა გაღიზიანება. მართალია, ის გამონათქვამებს არასოდეს აკონკრეტებს, მაგრამ ბოლო დროს რუსი მეფისნაცვალივით ერევა საქართველოს საშინაო საქმეებში – ის თავს უფლებას აძლევს, პრეზიდენტ მარგველაშვილს საჯაროდ უსაყვედუროს, ხელისუფლება ძალიან დიდ დროს უთმობს ექსპრეზიდენტის დევნას, სხვა საქმეებიც უნდა აკეთოთ, უპირველესად კი ქვეყნის განვითარებაზე უნდა იზრუნოთო. ამ შემთხვევაში მარგველაშვილს ყველაზე ნაკლებად ეკუთვნის „საყვედური“, მას არც სააკაშვილის დევნა დაუწყია და არც სხვა საქმეები აქვს საკეთებელი. მულო, შენ გეუბნებიან, რძალო – შენ გაიგონეო, ზუსტად ასეთ ქართულ „კომბინაციასთან“ გვაქვს საქმე. რაც შეეხება ირაკლი ალასანიას მოადგილეს, მიხეილ დარჩიაშვილს და მის მიერ დადგმულ სპექტაკლს, ამის გარკვევა „ალიამ“ თავად მასთან სცადა, მაგრამ თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა, ეკა შანიძემ ასეთი წერილი გამოგვიგზავნა:

„მიხეილ დარჩიაშვილი არ არის საქართველოში, მონტენეგროშია საერთაშორისო კონფერენციაზე. მინისტრს ვკითხე, რამე კომენტარი ხომ არ იქნება ჩვენგან-მეთქი და არანაირი კომენტარი არ იქნებაო“.

მართლა მოატყუეს თუ არა არჩილ გეგეშიძე და ჩარეული იყო თუ არა ამ საქმეში დარჩიაშვილი, ამის შესახებ ჩვენ მივმართეთ საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურს. მას შემდეგ, რაც სტატიის ის მონაკვეთი გადავაგზავნეთ, რომელიც კონკრეტულად არჩილ გეგეშიძეს ეხება, პრესატაშემ, ბატონმა ზვიად ჭკუასელმა წერილი გამოგვიგზავნა: „ბატონო გელა, მივიღეთ თქვენი წერილი, ხელმძღვანელობამ გადახედა და დაგპირდათ თანამშრომლობას. ოღონდ გვსურს, რომ კონკრეტული კითხვები გამოაგზავნოთ“.

კი, ბატონო, გადავაგზავნეთ კონკრეტული კითხვა („ვინ დაგეგმა არჩილ გეგეშიძის ინტერვიუ „Foreign Policy“-ს ჟურნალისტთან?“), მაგრამ დაპირება თანამშრომლობის თაობაზე ამით ამოიწურა. როგორც ჩანს, საგარეო საქმეთა სამინისტროს ასეთი ტაქტიკა აქვს შემუშავებული – ჯერ საკითხს განიხილავენ, მერე თანამშრომლობას გთავაზობენ, ბოლოს კი დუმილს ამჯობინებენ. ეს უკვე მესამე შემთხვევაა. არადა, ეს ის დუმილი არ გახლავთ, რომლის გამოყენების უფლებაც მათ აქვთ, ჩვენ ამაში ფულს ნამდვილად არ ვიხდით. 17 ოქტომბერს ჩვენ თავად დავუკავშირდით არჩილ გეგეშიძეს (ის ამჟამად თბილისში იმყოფება), შევთავაზეთ ინტერვიუ არა მხოლოდ ამ საკითხზე, არამედ მიხეილ სააკაშვილთან დაპირისპირებაზეც. მან გვითხრა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ნებართვის გარეშე ვერაფერს გვეტყოდა. ჩვენ იმავე წუთს დავუკავშირდით საგარეო საქმეთა მინისტრს, მაია ფანჯიკიძეს და ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ ქალბატონმა მაიამაც თითი პრესსამსახურისკენ გაიშვირა. თავად პრესსამსახურში აცხადებენ, რომ გეგეშიძე თბილისში კი იმყოფება, მაგრამ მათ არ ეკონტაქტება. აი, ამაზეა ნათქვამი, მარჯვენამ არ იცის, მარცხენა რას აკეთებსო. თუმცა ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ ამერიკიდან თბილისში ჩამოსული გეგეშიძე საგარეო საქმეთა სამინისტროს არ ეკონტაქტება, როცა ადამიანი ტყუის, ის ყოველთვის ცდილობს, შეკითხვებს თავი აარიდოს. ეს გახლავთ ჩვენი ერთ-ერთი საგარეო ტაქტიკა.



**ირაკლი ღარიბაშვილმა პირდაპირ განაცხადა: „ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შეძლებს საქართველოს ტერიტორიაზე თავისი შეიარაღებული ძალების განლაგებას, ხელისუფლების ნებართვის გარეშე“. აქ იგულისხმება როგორც საწვრთნელი ბაზები, ასევე თავდაცვითი სისტემები. ამ განცხადებას მოჰყვა ამერიკის ელჩის, რიჩარდ ნორლანდის აშკარა გაღიზიანება**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# ლადო სადღობელაშვილი: „არსებობს მაგალითები მსოფლიოში, როცა აუკრძალავთ კრიმინალური პარტიები, საქართველოში ახლა ეს დროა“

## „საქართველოს პარლამენტმა უნდა მოახდინოს მათი, როგორც პარტიის აკრძალვა“



**ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ დამფუძნებელი ლადო სადღობელაშვილი მიმართვას ავრცელებს და ხელისუფლებას ახალაიების მხარდამჭერთა ალაგმვისკენ მოუწოდებს:**

„მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებას!!! ახალაიების მკვლელებისგან და ზონდერებისგან შემდგარი ბანდები ყველა ზღვარს გადავიდნენ. ისინი მასობრივად თავს ესხმოდნენ მოქალაქეებს, რომლებმაც პროტესტი გამოხატეს მათ მიერ მოწყობილი აქციის მიმართ. ეს ავაზაკები იმდენად გათავხედდნენ, რომ უკვე იმუქრებიან ბაჩო ახალაიას ციხიდან გამოსვლის შემთხვევაში მასობრივი რეპრესიებით. გამოვა ბაჩო და ცოცხები შემდეგ ნახეთ!!! – ეს და მსგავსი ფრაზები უკვე მათ ყოველდღიურ ტერმინოლოგიად ქცეულა. ახალაიას ბანდის წევრები პრემიერს მიუვარდნენ სახლში, ხოლო ხვალ თითოეულ ჩვენგანს გვემუქრება საფრთხე. იმის მაგივრად რომ ეს კაცისმკვლელები, ნაძირალები, მანიაკები და სადისტები ციხეში ისხდნენ თქვენ უფლებას აძლევთ და მათ აგრესიული აქციების მოწყობაში ხელს არ უშლით. როდემდე ვუყუროთ თქვენს რბილ და მოფერებით პოლიტიკას ახალაიას ბანდის წევრებთან? მოთმინების ფიალა უკვე აივსო, ჩვენ ვერ ავიტანთ მათ პარპაშს. დღევანდელმა პროვოკაციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ეს ნაძირალები მზად არიან, სისხლი დაღვარონ თავიანთი ბანდის ატამანის გასათავისუფლებლად. ჩვენ არ მივედით ნაცზონდერების აქციის ჩასაშლელად, რადგან მოვერიდეთ სიტუაციის ესკალაციას, მაგრამ ეს არის ჩვენი ბოლო გაფრთხილება. პატივცემულო ხელისუფალნო ან გამოიყენეთ კანონით მონიჭებული ძალა და გაასამართლეთ ახალაიას მკვლელებისა და ადამიანთა მწამებლების ბანდა, ან ჩვენ ჩვენი ძალებით ავლაგმავთ მათ პარპაშს. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და თუ ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს ზონდერკრიმინალთა იზოლაციას, მაშინ ამას თავის თავზე ქართველი საზოგადოების პროგრესული ნაწილი აიღებს!!!!!!!“ – წერს სადღობელაშვილი.

**„ალიას“ ლადო სადღობელაშვილი ესაუბრა:**

**— ლადო, კანონით ხომ აქვთ უფლება „ნაციონალებს“, აქცია ჩაატარონ, როგორ აუკრძალავს ხელისუფლება მათ კანონით მინიჭებული უფლებით მოქმედებას?**

– საქმე ისაა, რომ „თავისუფალი ზონა“ არის კრიმინალური ბანდფორმირება, რომელიც დღე-დღეზე ახალ-ახალ კრიმინალურ ქმედებებს გეგმავს. დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენი აქციების დროს მოხდებოდა პროვოკაციები, მაგრამ პოლიცია ცოცხალ კორდონს აკეთებდა და შესაბამისად, ხელჩართულ კონფლიქტამდე არ მიდიოდა საქმე, მხოლოდ სიტყვიერი შელაპარაკებით შემოიფარგლებოდა ხოლმე. შეგნებულად არ მივედით ღარიბაშვილის სახლის წინ აქციაზე, რადგან იქ უარესი მოხდებოდა, ოფისიდან ვადევნებდით ყველაფერს თვალყურს. ამათ კი რომ ვერ ნახეს სხვა ძალა, მათდამი ოპოზიციურად განწყობილი, გადავიდნენ უბრალოდ მოქალაქეებზე, იმ 4 ბიჭიდან, ვინც კადრში ჩანს, ერთ-ერთი ჩემი მეგობარი იყო, მას მიაყენეს შეურაცხყოფა. სადაც გამოჩნდებიან „ზონელები“, იქ ირღვევა ჩვენი ცხოვრების უფლება. ეს არის დესტრუქციული ძალა და არ ვარ ვალდებული, ეს ავიტანო. „ნაციონალური“ რეჟიმი გრძელდება და ოპოზიციაში მყოფიც აგრძელებს კრიმინალს. მათი დაკვეთით ხორციელდება ბევრი კრიმინალი და ასე თუ მივუშვით, ქუჩაში გამოსვლა არ იქნება უსაფრთხო. დაიმახსოვროს მთელმა საქართველომ, სანამ ესენი იარსებებ, სტაბილური ცხოვრება არ გვექნება. ხელისუფლებას მინდა მივმართო, აღკვეთონ ეს ყველაფერი, ან თუ ინიციატორი თქვენ არ იქნებით, ჩვენ მოვუვლით მათ.

**— მაინც, რას იზამთ?**

– ბოლო წლები ხმას არ ვიღებდი, მაგრამ ახლა ყველა ხერხი ვიცი მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. ქვეყანაში არსებობს საფრთხე, რომ დაბრუნდეს 9-წლიანი რეჟიმი, ახლა ხელისუფლების მოვალეობაა, არ დააბრუნოს ეს რეჟიმი და თუ ამ ვალდებულებას ვერ შეასრულებს, ჩვენს ხელში გადმოვა სადავეები. რომ არ იცოდეს ხელისუფლებამ „ნაციონალების“ კრიმინალის შესახებ, 315-ე მუხლით საქმეს ხომ არ აღძრავდა? მოვაშოროთ „ნაციონალური მოძრაობა“ ქვეყანას და დავაყენოთ საკითხი მკაცრად, გაუქმდეს „ნაციონალური მოძრაობა“ საკანონმდებლო დონეზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ეს არ არის გათვლა რომელიმე ფენაზე, ეს სახელმწიფოს ვალდებულებაა. არსებობს მაგალითები მსოფლიოში, როცა აუკრძალავთ კრიმინალური პარტიები, საქართველოში ახლა ეს დროა, ეს არც ერთ ქვეყანაში დაუსჯელი არ დარჩებოდა, ჩვენთან კი დარჩა.

ახლა არის დუღილის პროცესი, როცა 100 გრადუსამდე მივალთ და დუღილის ტემპერატურა პიკს მიაღწევს, ხალხს ვერ გავაჩერებთ, დროა, ხელისუფლება ამას მიხვდეს. უმართავი იქნება პროცესები და მერე ხელისუფლებას მისი გაჩერება გაუჭირდება. 21 ოქტომბერსაც ვაწყობთ მშვიდობიან აქციას „ნაციონალების“ ოფისთან 19 საათზე, მათ გაფრთხილებას ვაპირებთ.

**— იცით, რა მაინტერესებს? „ნაციონალური პარტიის“ გაუქმებას რომ ითხოვთ, მათ ოფისთან რა გინდათ, ხელისუფლებას მოუწყვეთ აქცია მათი გაუქმების მოთხოვნით.**

– როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტმა უნდა მოახდინოს მათი, როგორც პარტიის აკრძალვა, ამ პარლამენტში კი არიან „ნაციონალების“ ლობები, „რესპუბლიკელების“ სახით. როცა გვესმის „რესპუბლიკელების“ მხარდამჭერი პოზიციები, ამ ინიციატივის გატანა ვერ მოხერხდება, ჯერ საჭიროა „რესპუბლიკელების“ განეიტრალება, ამის შემდგომ აქვს ამ აქციის მოწყობას აზრი. როცა ამას ვამბობთ ხოლმე, „ნაციონალებიც“ კი გვესვრიან რეპლიკებს, თუ კრიმინალური პარტია ვართ, მოსთხოვეთ მთავრობას, აგვკრძალოსო. ჩვენ ამ მოთხოვნით უკვე გაგზავნილი გვაქვს წერილი კანცელარიაში და პასუხს ველოდებით.

გამორიცხულია, არ ვაპირებთ გაჩერებას, სულ მოვაწყობთ აქციებს და ავწევთ დუღილის ტემპერატურას. არ მინდა გავამხილო ყველა გეგმა, მაგრამ გარწმუნებთ, უფროსი თაობაც გვერთვება, ისინი ისეთი მოტივირებულები არიან, რომ სხვა ქმედებებზე გადავალთ მალე. ესეც იცოდეს ხელისუფლებამ და „ნაციონალებმაც“, რომლებიც ყელში არიან უკვე გაჩხერილები. წინ გველის ნოემბერი, 23 ნოემბერს ექნებათ რევოლუციის კვირეული, რომლისთვისაც ისინი ემზადებიან, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მათ ეს გეგმები ჩავუშალოთ.

გვაქვს ასევე ინფორმაცია, რომ უკრაინიდან ოცეულია ჩამოსული იმ სახიფათო ჯგუფისა, რომლებიც უკრაინაში მოქმედებდნენ. საზოგადოებამ კარგად უნდა იცოდეს, რომ, როცა „ზონელები“ და მათი ლიდერები აჟღერებენ რუსეთის საწინააღმდეგო განცხადებებს, ეს მათ გასაგონად კეთდება, თორემ რეალური მიზეზი ამ აქციებისა არის მერაბიშვილისა და ახალაიას დახსნა ციხიდან. ასევე, მაქვს ინფორმაცია, რომ მას შემდეგ, რაც „ნაციონალები“ მიხვდებიან, რომ მიზანს ვერ მიაღწიეს აქციებით, აპირებენ სხვა პროვოკაციების მოწყობას ეთნიკური, რელიგიური შუღლის გაღვივების მიზნით, რომ არიონ სიტუაცია. ამ მიზნით ჰყავთ ათეულობით ადამიანი დაქირავებული. არა მხოლოდ აზერბაიჯანელები, არამედ თურქებიც ჩაერთვებიან ამ თემაში და მუსლიმანების მიმართულებითაც იგეგმება გარკვეული პროვოკაციები, კიდევ ვაზუსტებთ რაღაც ინფორმაციებს.

**— თუ შემოგემატათ ხალხი მას შემდეგ, რაც ასეთი აქტიურობა დაიწყეთ?**

– შემიძლია დავიფიცო, რომ თუ ვიყავით ასი კაცი, ახლა უკვე 400 კაცამდე ვართ ერთი თვის თავზე, ყოველდღე გვიერთდებიან.

**— ამდენ ხალხში არ ხართ დაცულები პროვოკატორების შემოგზავნისგან, შეიძლება რამე ისეთი ჩაიდინონ, რომ თქვენს ორგანიზაციას სახელი გაუტეხონ. ამისგან თავს როგორ იცავთ?**

– ვფილტრავთ ყველას, ვკითხულობთ იმ ადამიანის შესახებ ყველაფერს. თუ ის არ აღმოჩნდება სანდო და არ ჰყავს ისეთი წრე, რომ არ ვენდობით, ასეთ ადამიანს ახლოს არ დავიყენებთ. არც აქციებზე გამოვიყვანთ. პროვოკაციების არ გვეშინია, ვერ ბედავენ შიგნით სიტუაციის არევას, ამას წინათ ერთი მოგვიგზავნეს და რომ გავჩხრიკეთ, მოსასმენი აპარატურა ჰქონდა ტანზე, ასეთი გარედან შემოგზავნილი ბევრია და ამ დღეებში ფოტო და ვიდეომასალებს აუცილებლად გამოვაქვეყნებთ. გინება და გამოწვევები ხშირი შემთხვევაა, მაგრამ ამ კრიმინალების ხულიგნობაზე არ წამოვეგებით.

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „პარლამენტი მზად არის, სახალხო დამცველის რეკომენდაციები გაითვალისწინოს“



მიუხედავად იმისა, რომ ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ საკანონმდებლო დონეზე მნიშვნელოვანი ცვლილებები უკვე განხორციელდა, პარლამენტი მზად არის სახალხო დამცველთან თანამშრომლობისთვის.

ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძის თქმით, პრაქტიკაში არსებული პრობლემების გადასაწყვეტად პარლამენტი მზად არის, სახალხო დამცველის რეკომენდაციები გაითვალისწინოს.

„კანონში ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები განვახორციელეთ, რომელიც ქმნის იმ გარანტიას, რომ შრომით უფლებებში იყოს დაცული ქალის უფლება და არ გახდეს ის დისკრიმინაციის მსხვერპლი, თუმცა, თუ პრაქტიკაში არის რაიმე პრობლემა და ამ ხარვეზის გამოსწორებისთვის დამატებით რაღაც ცვლილებაა საჭირო, ბუნებრივია, ჩვენ მზად ვართ, რომ ამაზე ვიმსჯელოთ და გავაგრძელოთ ამაზე მუშაობა უკვე სახალხო დამცველის რეკომენდაციის გათვალისწინებით“, – განაცხადა კობახიძემ. (ნიუპოსტი)

## „ღარიბაშვილმა თვითონ აღაიარა რომ ჰაკიმ ფაშაა“

თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ბაჩო ახალაიას მეუღლე, პრემიერის სახლთან გუშინ ჩატარებულ აქციას ეხმაურება.

„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ არც ერთ მონაწილეს კანონი არ დაურღვევია და პოლიციელის მოწოდებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია, პირიქით მაქსიმალურად ვცდილობდით, რომ რაიმე ინციდენტი არ მომხდარიყო და პოლიციას მაქსიმალურად ვემორჩილებოდით. ჰაკიმ ფაშას ძახილი თუ გინებაში ჩაითვლება და შეურაცხყოფაში, მე მგონი, თვითონ აღიარა პრემიერ-მინისტრმა რომ ჰაკიმ ფაშაა“, – განაცხადა ანი ნადარეიშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## გაზგასამართი სადგურის ფარული ექსპლუატაცია დასჯადი ხდება



მთავრობის ინიციატივით ცვლილება შედის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“. მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტში დარეგისტრირდა. ცვლილების თანახმად, მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების სიას დაემატება გაზგასამართი სადგური, რაც ავტომატურად გამოიწვევს პასუხისმგებლობის ზომების დამატებას ისეთი ქმედებებისთვის, როგორიცაა: გაზგასამართი სადგურის ფარული ექსპლუატაცია, ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევა, ტექნიკური ინსპექტირების ჩაუტარებლობა.

საკანონმდებლო პროექტით გათვალისწინებულია ისიც, რომ საფრთხის შემცველი ობიექტების სიიდან ამოიღებენ მარცვლეულის შესანახ და გადამამუშავებელ საწარმოს, წისქვილ-კომბინატს. (ნიუპოსტი)



# სულხან მოლაშვილის ძმა და ნანა კაკაბაძე იპოთეკების ბინების დასაბრუნებლად ბრძოლას იწყებენ

## რა გზას აირჩევენ ისინი ხელისუფლებისგან უარის შემთხვევაში?

„ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოვიდა, მაგრამ ამ მიმართულებით ძალიან ცოტა რამ გაკეთდა. მარტო უკანონოდ დაჭერილი პატიმრების ციხეებიდან გამოშვებითა და სააკაშვილის რეჟიმის რამდენიმე დამნაშავის დაჭერით, „ნაცმოძრაობის“ დროს ჩაწიხლული ადამიანების ღირსება ვერ აღდგება. რამდენიმე დღის წინ დაფუძნდა საზოგადოებრივი მოძრაობა „სახელმწიფოსგან დაზარალებულთა სოლიდარობა“, რომლის ხელმძღვანელიც ზაალ ჟვანია გახლავთ. ამ ორგანიზაციაში ყოფილი პოლიტპატიმრები, უკანონო პატიმრები, იპოთეკით დაზარალებულები, სააკაშვილის მიერ დევნილი და სხვა კატეგორიის დაზარალებულები ერთიანდებიან. ზაალ ჟვანიას შესახებ ერთს ვიტყვი: „ნაციონალების“ დროს ეს კაცი ტყუილად დაიჭირეს, ციხეში ჩასვეს და მერე, მისი ორი ვაჟიც დააპატიმრეს. სამივე პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლდა ციხიდან რას აპირებენ ამ ახლად დაფუძნებული ორგანიზაციის მესვეურნი? რა მიზნები აქვთ და რა მეთოდებით იბრძოლებენ მათ მისაღწევად?

**„ალიას“ ამ და სხვა კითხვებს ზაალ ჟვანია უპასუხებს:**

**— ბატონო ზაალ, კონკრეტულად რა მიზნები გაქვთ?**

– ჩვენი მიზანია, სახელმწიფოსგან დაზარალებულ ყველა ადამიანს დავეხმაროთ. იპოთეკარებს, პოლიტპატიმრებსა და უკანონო პატიმრებს, მეანაბრეებს, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულებს და სხვებს. სულ 11 კატეგორიის სახელმწიფოსგან დაზარალებულია საქართველოში. მოკლედ, ვიწყებთ ამ მოქალაქეთა ინტერესებისა და სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლას. „ქართული ოცნების“ მთავარი დაპირება ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა იყო. დიდი მადლობელი ვარ ბიძინა ივანიშვილის, მე და ჩემისთანები პოლიტპატიმრებად რომ გვაღიარა და ციხეებიდან გამოგვიშვა, მაგრამ ამით დასრულდა სამართლიანობის აღდგენა? „ნაცმოძრაობის“ დროს ათეულ ათასობით ადამიანი დაზარალდა, ზოგი უკანონოდ იჯდა ციხეში და ბევრი მათგანი ისევ ციხეშია, ბევრს სახლები და ბიზნესი წაართვეს, ქუჩაში დატოვეს ათასობით ადამიანი, ბევრი საქართველოდან გააქციეს. ხელისუფლებამ ხომ ვერ აღადგინა ამ მხრივ სამართლიანობა და არც ის სოციალური ვალდებულებები შეასრულა, რაც წინასაარჩევნოდ აიღო თავის თავზე. ჩვენი მიზანია, სახელმწიფოს აღმასრულებელ რომელიმე სტრუქტურაში, შეიქმნას „ნაცმოძრაობის“ დროს დაზარალებულთა შემსწავლელი კომისია, რომელიც ეტაპობრივად განიხილავს ყველა საქმეს და ადამიანებს რაც ეკუთვნით, იმას მისცემს. ზოგს წართმეულ სახლებს დაუბრუნებენ, უკანონო პატიმრებს კომპენსაციებს მისცემენ, ბიზნესმენებსაც რაც წაერთვეს, იმ ქონებას დაუბრუნებენ. გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დადო დასკვნა, რომ სააკაშვილის ხელისუფლების დროს, წამების, ქონების წართმევისა და მრავალი უკანონობის არაერთი ფაქტი არსებობდა და მათ გამოძიებას საშველი არ დაადგაო. ამ კომიტეტმა მოუწოდა დღევანდელ ხელისუფლებას, ეს საქმეები ბოლომდე მიიყვანეთ, გამოიძიეთ და დამნაშავენი დასაჯეთო. მეტი მწვანე შუქი რაღა გინდა უცხოეთიდან, შე დალოცვილო? ადექი და დაიწყე ეს სამართლიანობის აღდგენის პროცესი, გაერო მოგიწოდებს ამას. ცალკე კიდევ მთელი საქართველო გიდგას გვერდით ამ საქმეში. უამრავი დამნაშავე „ნაციონალი“ დადის თავისუფალი, ისე გათამამდნენ, კიდევ აქეთ გვემუქრებიან. ეს ხელისუფლების უნიათობის ბრალია. ეგენი ქუჩაში გამოსვლას საერთოდ ვერ უნდა ბედავდნენ, იმდენი საშინელი დანაშაული აქვთ ჩადენილი, „ნაციონალებით“ სავსე უნდა იყოს დღეს ციხეები, თუ სამართლიანად განსჯიან მათ წარსულსა და კონკრეტულ დანაშაულებს, ეს პარტია საერთოდ უნდა აკრძალონ. ამის ნაცვლად, ხომ ხედავთ, თავსაც გვამეტებენ და ხელისუფლებას ჭკუასაც არიგებენ. თანაც, მალე მოვალთ ხელისუფლებაშიო, გვემუქრებიან.

**— „ნაციონალებისგან“ გამწარებული და დაზარალებული ნახევარ საქართველოზე მეტია. წესით, ბევრი ადამიანი უნდა გაერთიანდეს თქვენს ორგანიზაციაში.**

– კი, ბევრი ადამიანი მოგვაკითხავს, ჯერ არსად არ დაგვიანონსებია, რომ ეს ორგანიზაცია შევქმენით, პირველად თქვენ გითხარით ამის შესახებ. მალე ბრიფინგს გავმართავთ და ყველა გაიგებს. მანამდე, თუ შეიძლება, აღნიშნეთ, რომ ვაკეში, მოსაშვილის ქუჩაზე, №11-ში არის ჩვენი ოფისი. თუმცა, 5 დღეა, რაც ორგანიზაცია დავაფუძნეთ და უკვე უამრავი ხალხი მოვიდა.

**— საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები გყავთ ორგანიზაციის დამფუძნებელთა შორის?**

– კი, თორნიკე მოლაშვილი – სულხან მოლაშვილის ძმა, ნანა კაკაბაძე, ლევან ჩაჩუა, რამაზ ღვალაძე, თემურ კვარაცხელია, გია მახარაძე... 25 პოლიტპატიმარი უკვე ჩემთან არის. არც ერთი ჩვენგანი არ არის რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი ან აქტივისტი. არ გვინდა პოლიტიკოსები და საერთოდ, ისეთი სახეები, ხალხს მობეზრებულიც რომ ჰყავს და მათგან მოტყუებისა და ცრუ დაპირებების მეტი არაფერი ახსოვს. არ ვენდობით კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და მათი იმედი არც გვაქვს. პარტია „ქართული ოცნების“ იმედი დაგვრჩა, რომლის თავმჯდომარეც ირაკლი ღარიბაშვილია და ამ იმედს, კარგი იქნება, თუ არ გაგვიცრუებენ. თუ ამ პარტიის ლიდერებმაც გაგვიცრუეს იმედები და მათაც ჩვენი მტრების რიგებში ჩავწერთ, სხვა რაღა დაგვრჩენია?

**— როგორ აპირებთ დაზარალებულთა დახმარებას?**

– 12 ათასი ადამიანი უკვე გამოასახლეს საკუთარი სახლებიდან, ახლა კიდევ 102 ათასი ადამიანი დგას რიგში, ეს კი, დაახლოებით 300-400 ათასი ქუჩაში დატოვებული კაცია. ბანკების მეპატრონეები და კერძო მევახშეები უნდა შევაჩეროთ, ხელისუფლებამ უნდა შეაჩეროს, რომ ამ ადამიანებს, თავიანთ დაყადაღებულ ბინებში ცხოვრების ნება მისცენ და უკან შეასახლონ ეს გამოსახლებულები, მორატორიუმი უნდა გამოცხადდეს იპოთეკით ჩადებული ბინების გაყიდვაზე. მერე კი, უნდა შეიქმნას იპოთეკით დაზარალებულთა სააგენტო, სააგენტომ უნდა გამოყოს იაფფასიანი კრედიტი, კრედიტის სახით მისცეს ეს ფული, გადაუხდიან იმ ბანკებსა და მევახშეებს და მერე, სახელმწიფოს გაუსტუმრებენ ვალს. ჩვენ ყველაფერი დეტალურად, ექსპერტების დონეზე ვიანგარიშეთ და დავუშვათ, 50 000 დოლარად იპოთეკით დატვირთული ბინის გამოსასყიდად, ხელისუფლებამ 3.5 პროცენტში რომ მისცეს კონკრეტულ დაზარალებულს, ის 20 წლის მანძილზე თვეში 150-170 ლარს გადაიხდის, ბინაც შერჩება და ხელისუფლებასაც დაუბრუნდება ეს ფული უკან, ის ბანკი თუ მევახშეც თავისას მიიღებს.

**— ბატონო ზაალ, ვისაც 2008 წლის ომის დროს ბიზნესი ჩაუვარდათ და კრედიტები ვერ გადაიხადეს, ამათი ამბავი გასაგებია, მაგრამ არიან ისეთებიც, კრედიტებით ბინები გაირემონტეს, უცხოეთში იმოგზაურეს, მანქანები იყიდეს. სახელმწიფო რა ვალდებულია, ასეთებს ვალები გაუსტუმროს?**

– ეს საკითხი შესწავლილი მაქვს და ზუსტად ვიცი, ვისაც სახლებს უყიდიან, მათ 80%-ს სწორედ 2008 წლის ომის დროს ჩაუვარდა ბიზნესი და სახელმწიფომ ხელი არ შეაშველა, რომ ფეხზე დამდგარიყვნენ. გარდა ამისა, უამრავია ისეთი ადამიანი, ვინც კრედიტი იმის გამო აიღო, რომ შვილი და დედა ავად ჰყავდა, სამკურნალო ფული არ ჰქონდა, ბევრმა მიცვალებული დაკრძალა ამ ფულით და ბევრმა კიდევ, დაჭერილი ოჯახის წევრის საპროცესო გარიგების საფასურის გადასახდელად აიღო კრედიტი. გასაგებია, ვიღაცამ საკუთარი წინდაუხედაობით მიიყვანა იქამდე საქმე, რომ დღეს მას ბინას უყიდიან, მაგრამ რა დააშავეს მათი ოჯახის წევრებმა – მეუღლემ, შვილებმა, შვილიშვილებმა, მშობლებმა... ასეთ ადამიანსაც სჭირდება თანადგომა, მეორე შანსი ყველას უნდა მისცე. მათი ბინები ამ სააგენტოს ბალანსზე იქნება და თუ კვლავ აღარ გადაიხდიან კრედიტს, მერე გაიყიდება და მართლა აღარავისთან არ ექნებათ დასამდური, გვიჭირდა და გვერდით არ დაგვიდექითო. გარდა ამისა, უკანონო გადაწყვეტილების გამომტანი მოსამართლეებიც უნდა დაისაჯონ. 200 პოლიტპატიმარი და ათასობით რეპრესირებული როცა გყავს ქვეყანაში, ეს ყველაფერი ამ მოსამართლეებისა და კოტე კუბლაშვილის კისერზეა. ეს საკითხიც ერთ-ერთი პრიორიტეტული იქნება ჩვენთვის.

**— ვინ დააფინანსებს თქვენს ორგანიზაციას?**

– სიმბოლური საწევრო გვექნება-კვარტალში 1 ლარი. ჩვენს თავს თავად დავაფინანსებთ, არ გვინდა არავის დახმარება, მთავარია, რომ უკვე უამრავმა ადამიანმა დაგვირეკა, მოვიდა ოფისში და ყველა მზად არის, ბოლომდე იბრძოლოს ქვეყანაში სამართლიანობის აღსადგენად.

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### „იმედის“ საგანგებო განცხადება

ტელეკომპანია „იმედის“ „ფეისბუკის“ ოფიციალური გვერდი გატეხილია. აღნიშნულთან დაკავშირებით „იმედის“ ხელმძღვანელობა სპეციალურ განცხადებას ავრცელებს და აცხადებს, რომ ტელეკომპანია გვერდზე გავრცელებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე პასუხისმგებლობას იხსნის. (ნიუპოსტი)

### ძლიერმა წვიმამ ჩხოროწყუს სოფლები დააზარალა



ძლიერმა წვიმამ ჩხოროწყუს რაიონის რამდენიმე სოფელთან დამაკავშირებელი ხიდები დააზიანა. დაზიანებულია გზები და ელექტროგადამცემი ხაზები, რის გამოც უშუქოდაა დარჩენილი ხუთი სოფელი.

ორდღიანი გადაუღებელი წვიმის შედეგად ადიდებულმა ხობის წყალმა სოფელში მოსავალი გაანადგურა. სპეციალური კომისია უკვე მუშაობს ზარალის დადგენაზე, რის შემდეგაც დაზარალებული რეგიონისთვის დახმარების საკითხი გადაწყდება. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### „მერაბიშვილისთვის სამწლიანი სასჯელი სასაცილოა“



სანდრო გირგვლიანის მამა გურამ გირგვლიანი სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილებას გამოთქვამს:

„ყველამ იცის, რაც ჩაიდინეს მათ ჩემი ოჯახის წინააღმდეგ. სასაცილოა სამი წელი ვანო მერაბიშვილის დასასჯელად, ის, ფაქტობრივად, ამ დანაშაულს ხელმძღვანელობდა, იმ მოტივით, რომ მისი ცოლი, თაკო სალაყაია არსად გამოჩენილიყო. სასჯელი არაადეკვატურია, პროკურატურასთან ერთად გავარკვევთ, გასაჩივრდება თუ არა ეს განაჩენი“, – განაცხადა გირგვლიანმა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სანდრო გირგვლიანის საქმეზე ვანო მერაბიშვილს 3-წლიანი პატიმრობა მიესაჯა. მერაბიშვილს თანამდებობის 2 წლით დაკავება აეკრძალა. მერაბიშვილს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე და 341-ე მუხლებით აქვს ბრალი წარდგენილი, რაც სამსახურებრივ სიყალბესა და უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რამ გააერთიანა 16 არასაპარლამენტო პარტია და რას იწყებენ 23 ოქტომბრიდან?

23 ოქტომბრიდან, 16 არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტია, ინტერპარტიული ფორმატის ფარგლებში მუშაობას დაიწყებს და საარჩევნო კანონმდებლობაში შესატან ცვლილებათა ნუსხას შეაჯერებს. პარტიების უმეტესობას, უკვე შემუშავებული აქვს საარჩევნო სისტემის გარკვეული მოდელი. ისინი ხუთშაბათიდან ერთად დასხდებიან, საერთო პოზიციაზე შეჯერდებიან და ასე წარდგებიან ხელისუფლების წინაშე.

**„ალიას“ პარტია „ახალი მემარჯვენეების“ გენერალური მდივანი, მამუკა კაციტაძე ესაუბრა:**

– ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ ოპოზიციური ფორმატი არსებობდა. ვცდილობდით, საარჩევნო კოდექსში ცვლილებები მოგვეხდინა. არჩევნების შემდეგ სახეზე გვაქვს შემდეგი სურათი – საარჩევნო კოდექსში ისევ ბევრი რამეა პრობლემატური. ამიტომაც ჩვენ, ოპოზიციურმა პარტიებმა, განვაახლეთ ინტერპარტიული ფორმატი, ამ შემთხვევაში მეტი პარტია ჩაერთო, 16 პარტიაა ჩართული. ეს პროცესები დავიწყეთ 2 წლით ადრე, რადგან მერე ხელისუფლებამ არ მოიტანოს საბაბად ცაიტნოტური სიტუაცია. შეხვედრებზე პოლიტიკური პარტიები ვეცდებით, რომ შევჯერდეთ ერთ მოდელზე და მე ვფიქრობ, რომ ეს შეთანხმება მოხერხდება. იმ რეკომენდაციების გათვალისწინებით, რასაც ვენეციის კომისია აკეთებს, ახლახან ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ და ევროსაბჭოს რეგიონალურმა კონგრესმა გააკეთა, შევეცდებით, ხელისუფლებას დავანახოთ, რაში მდგომარეობს საარჩევნო კანონმდებლობის ნაკლოვანება. რაში მდგომარეობს ის ნაკლოვანება, როცა ხელისუფლება საკუთარ თავზე ირგებს საარჩევნო კოდექსს.

**— რომელი პარტიები გაერთიანდით?**

– „ახალი მემარჯვენეები“, „თავისუფალი საქართველო“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, „ევროპელი დემოკრატები“, „სამოქალაქო ალიანსი – თავისუფლება“, „პოლიტიკური გაერთიანება თავისუფლება – კოკო გამსახურდია“, „საქართველოს გზა – სალომე ზურაბიშვილი“, „ქრისტიან-დემოკრატიული პარტია“, „ერთიანი დემოკრატიული მოძრაობა – ნინო ბურჯანაძე“, „ქართული დასი“, „მემარცხენე ალიანსი“, „პატრიოტთა ალიანსი“, „ლეიბორისტული პარტია“, „მწვანეთა პარტია“, „რეფორმატორები“ და „ძალოვან ვეტერანთა კავშირი“.

**— რა მოლოდინი გაქვთ, ან სამუშაო პროცესი იქნება შედეგიანი? ან ხომ არ გქონიათ ხელისუფლების წარმომადგენლებთან საუბარი ამ საკითხზე, რას ფიქრობენ ისინი, აპირებენ რაიმე დათმობაზე წასვლას?**

– ამ საკითხთან დაკავშირებით არანაირი წინასწარი საუბარი და კონსულტაციები არ გვქონია, თუმცა, გვაქვს შანსი. შანსს რომ ვახსენებ, ეს არ არის რაიმე ვირტუალური შანსი. რეალობაზე გესაუბრებით. მაგალითისთვის, გაიხსენეთ, შორს არ წავალ და ბოლო, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს მოვიყვან მაგალითად. ხომ გახსოვთ, რამხელა აყალმაყალი იყო ატეხილი 50%-იანი ბარიერის დაკანონებაზე და როგორ ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლება ამას. როცა ოპოზიციამ არგუმენტირებულად დაარწმუნა, რომ ბარიერი ასაწევი იყო, ამის მერე კი ხელისუფლება ცდილობდა, თავისად გაესაღებინა ეს ცვლილება, მაგრამ პოლიტიკური ამნეზია ვისაც არ სჭირს, ემახსოვრება, რომ ეს იყო ოპოზიციური პარტიების მოთხოვნის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება.

შეიძლება, რასაც ოპოზიცია ვითხოვთ პერმანენტულად, ყველაფერი ვერ სრულდება, მაგრამ როდესაც მართალი ხარ, ხარ არგუმენტირებული, ობიექტური როდესაც და ყველაფერ ამას მარტივად აგებინებ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებსაც და ქვეყნის შიგნით სამოქალაქო საზოგადოებას, კუთხეში გყავს მიმწყვდეული ხელისუფლება და მას უბრალოდ შანსს არ უტოვებ, რომ დათმობებზე არ წამოვიდეს. აი, ეს არის ამჯერადაც ის შანსი, რომელიც პოლიტიკურმა ოპოზიციამ უნდა გამოიყენოს.

რაც უფრო ერთიანი იქნება ოპოზიცია, მკვეთრი და ობიექტური, მით უფრო გაიზრდება ეს შანსი.

**— ამ ეტაპზე რა მოთხოვნები გაქვთ, რის შეცვლას აპირებთ, ხომ არ შეცვლილა, მიემატა, ან გამოაკლდა ადრე გაჟღერებულ მოთხოვნებს რამე?**

– ცვლილებებს, კონკრეტული პარტიების მხრივ სამუშაო პროცესიდან გამომდინარე ვენახავთ. თუმცა, პრობლემატურ საკითხთა სიაში კვლავ რჩება საარჩევნო სისტემა – ხმების რამდენ პროცენტსაც მიიღებ, იმდენი პროცენტი უნდა მიიღო მანდატების, მანდატებს არ უნდა იპარავდე. საარჩევნო ადმინისტრაციის კუთხით, ეს არის ობიექტური და სამართლიანი, თანასწორი ადმინისტრაციის შექმნა, 13 წევრიდან 11 ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი არ უნდა იყოს. მთლიანად არ უნდა იყოს უფასო სარეკლამო დრო უზურპირებული ერთი-ორი პარტიის მიერ, როგორც ცასა და დედამიწას შორისაა განსხვავება, ასეთი განსხვავება არ უნდა იყოს პარტიების დაფინანსებებს შორის და ის, რაც ამომრჩეველთა სიებს სჭირდება – ვერიფიკაცია უბანზე, არა რეგისტრატორის მიერ, არამედ ეს უნდა მოხდეს ელექტრონული გადამოწმებით, თუ მოვახერხეთ და სია ბიომეტრიული ფოტოსურათებით შევქმენით, ძალიან კარგი იქნება. ასევე, არის რამდენიმე საკითხი, რაც ადმინისტრაციული რესურსის შეზღუდვას უზრუნველყოფს, პრობლემა და სამუშაო ბევრია, თუმცა, დროც ბევრია.

**— იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება არ გაითვალისწინებს თქვენს შენიშვნებს, რას აპირებთ?**

– შევეცდებით, მაქსიმალური ძალისხმევით მობილიზება მოვახდინოთ, როგორც საერთაშორისო საზოგადოების, ასევე სამოქალაქო სექტორის. დამერწმუნეთ, თუ ჩვენ გონივრად ვიმოქმედებთ, შედეგი აუცილებლად იქნება. ვიბრძოლებთ პოლიტიკურად.

**— რას გულისხმობთ?**

– ყველაფერს! პოლიტიკურ ბრძოლაში ყველაფერი იგულისხმება.

**— აქციებიც?**

– ქვეყანაში სამართლიანი საარჩევნო გარემოს შესაქმნელად, ყველანაირ საშუალებას გამოვიყენებთ ბრძოლის ყველა პოლიტიკურ მეთოდს და საშუალებას, მაგრამ პირდაპირ აქციებს არ მივახტებით.

დიანა ლიპარტელიანი

571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სასჯელაღსრულებას მაღალკვალიფიციური რეჟიმის ოფიცრები ეყოლება



სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში კვალიფიციური რეჟიმის ოფიცრის მოსამზადებელი პროგრამის მესამე ეტაპი დაიწყო.

მინისტრის პირველი მოადგილის განცხადებით, სამინისტროს ხელმძღვანელობა სისტემის რეფორმირებას გეგმავს და ამ ვითარებაში კიდევ უფრო გაძლიერდება სასწავლო ცენტრის როლი სამინისტროს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

„სამინისტროს აქვს ასეთი მიდგომა: თანამშრომელს ჯერ სათანადო პრაქტიკული და თეორიული ცოდნა მივაწოდოთ, ხოლო შემდეგ მოვთხოვოთ საკუთარი უფლებამოსილების კანონის ფარგლებში შესრულება“, – განაცხადა კახა კახიშვილმა. (ნიუპოსტი)

## ვაჟა-ფშაველას გამზირზე „ნიკორას“ მაღაზია დააყაჩაღეს




თბილისში, 19 ოქტომბერს ღამით ყაჩაღობა მოხდა. ვაჟა-ფშაველას გამზირზე „ნიკორას“ ერთ-ერთი მაღაზია დააყაჩაღეს. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, დაახლოებით 21:00 საათზე ორი ნიღბიანი პირი მაღაზიაში შეიჭრა და თანხის მიტაცება სცადა.

ადგილზე გვიან ღამემდე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ. მომხდარზე გამოძიება მიმდინარეობს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „დაღესტნის გზამ აბსოლუტურად არაადეკვატური რეაქციები გამოიწვია“



ეკონომიკის მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილი, დაღესტნისა და კახეთის დამაკავშირებელი გზის სავარაუდო მშენებლობაზე მის მიერ გაკეთებულ კომენტარს განმარტავს.

„დაღესტნის გზასთან დაკავშირებით მინდა კონკრეტული განმარტება გავაკეთო, რადგან ამან აბსოლუტურად არაადეკვატური რეაქციები გამოიწვია. უსაფრთხოება და ეკონომიკური ასპექტები ამ შემთხვევაში ძირითადებია და წამყვანი, რა თქმა უნდა, უსაფრთხოებაა. კიდევაც ვთქვი, რომ უსაფრთხოების პროფესიონალებმა უნდა გაანალიზონ, რამდენად იქნება ეს საფრთხის მომტანი საქართველოსთვის. რაც შეეხება ეკონომიკურ ასპექტს, გზა ეკონომიკისთვის დამხმარე ინფრასტრუქტურაა, მხარს უჭერს და აძლიერებს მას. მაგრამ როდესაც დღეს ასეთ სიტუაციაში ვიმყოფებით, რა თქმა უნდა, ქვეყანა ათჯერ უნდა დაფიქრდეს, მისცემს თუ არა უფლებას ამ გზის გაყვანაზე. ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას და შესაბამისად, „ცარიელ ჭიქაში ამ ქარიშხლის ატეხა“, როდესაც საკითხი არც განიხილება მგონია, რომ აზრს მოკლებულია“. – განმარტა კვირიკაშვილმა. (ნიუპოსტი)

## ამერიკულ გემზე მყოფი ქართველი მეზღვაურები უსაფრთხოდ არიან

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს განცხადებით, საკრუიზო გემზე „ქარნივალ მეჯიქზე“ მყოფი ქართველი მეზღვაურები უვნებლები არიან და მათ ებოლას ვირუსი არ დაუდასტურდათ.

საქართველოს მოქალაქე სამ მეზღვაურს ხომალდის დატოვების უფლება მხოლოდ მას შემდეგ მისცეს, რაც სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ გემზე ებოლას ვირუსი არ აღმოჩნდა.

ექიმების თქმით, ვარაუდი არ გამართლდა და ვირუსი არ აღმოაჩნდა არც გემზე მყოფ დალასის კლინიკის ერთ-ერთ თანამშრომელს, რომელსაც საკრუიზო გემზე ასვლამდე შეხება ჰქონდა დაკვირვების ქვეშ მყოფ პაციენტებთან.

ქართველი მეზღვაურები აცხადებენ, რომ გამოკვლევის საბოლოო დასკვნამდე გაურკვეველ ვითარებაში იმყოფებოდნენ მგზავრებიც და ეკიპაჟის წევრებიც. გავრცელდა ინფორმაცია ერთ-ერთი მგზავრის გარდაცვალების შესახებაც, თუმცა მოგვიანებით ეს ფაქტი არ დადასტურდა.

გემზე არსებული შემოწმების შესახებ ინფორმაცია ქართველმა მეზღვაურმა მეგობარს შეატყობინა. ბაჩანა გოგიტიძესთან სატელეფონო ჩანაწერი მისმა მეგობარმა გაავრცელა. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## „თინას ეუბნებოდნენ, შეგიძლია წაკუზულმა იაროო“ — სტეფანე



მომღერალი სტეფანე მღებრიშვილი აცხადებს, რომ მის თანაწამყვანს პროექტ „ბრავოში“, თინა მახარაძეს პირველ გადაცემაზე კაბის სიგრძე არ მოეწონა.

მახარაძის თქმით, ფორმები კი კარგი აქვს, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ პროპორციულია, მაგრამ დაბალი, არ უხდება ის, რაც შეიძლება მოუხდეს არაპროპორციულ მაღალს.

– სიტყვა „შესაბამისი“ ჩემს ჩაცმულობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ყველაფერი უნდა მქონდეს შესაბამისი: შესაბამისი სიგრძის, ჭრილის ფეხსაცმელი, ფორმის, სილუეტის კაბა და ასე შემდეგ. პირველი კაბა არ იყო შესაბამისი და არ მომწონდა, – აცხადებს მსახიობი.

სტეფანეს თქმით, თინას სამაგიეროდ მოსწონდა, როცა იხრებოდა და ბოლოს ეუბნებოდნენ, შეგიძლია წაკუზულმა იაროო და პირველი მისალმება ასე გააკეთა.

– მკერდი სულ საკაიფოდ არის, უბრალოდ, რომ ვიხრებოდი, კაბის სიგრძე ზუსტად იყო და სტეფანესთან მთელი გადაცემა მოხრილი ვიდექი, – იხსენებს მახარაძე.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ნანუკა გოგიჩაიშვილი გათხოვდა? — ახლა დეკემბერში „პრაბაბუშკა“ გავხდები და არ უნდა მინდოდეს?



ხმები გავრცელდა მოდელი ნანუკა გოგიჩაიშვილი გათხოვდაო. ამბობენ, სიყვარულის ამბავი ყველას დაუმალა და მოულოდნელად გაიპარაო. ამას ისიც დაემატა, რომ მისი მობილური ტელეფონი გამორთულია.

ნანა გოგიჩაიშვილი (ნანუკას ბებია):

– ნანუკა საფრანგეთშია. რაღაც ევროკავშირის პროექტში არიან ეგ და თავის დაც წასული. თქვენს პირს შაქარი, ნეტა გათხოვდეს. მე ბებია ვარ და მაგაზე ვოცნებობ. ეგეც და მაგის დაც ძალიან მაგრად სხედან. ჩემი სადარდებელი ეგ არის. ადრე მამამისიც და დედამისიც მეჩხუბებოდნენ, რომ ვეუბნებოდი გათხოვდით-თქო, წინააღმდეგები იყვნენ და ახლა გაჩუმებულები არიან. ბიჭი მყავს შვილიშვილი ქალიშვილისგან 19 წლის, ძალიან ლამაზი და კარგი ბიჭია. 19 წლისამ შეირთო ცოლი, ახლა დეკემბერში „პრაბაბუშკა“ გავხდები და არ უნდა მინდოდეს? ესენი კიდე სხედან, მე მგონი სილამაზე უშლით ხელს...



*primetimenews.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო



## ინგა გრიგოლია: ვერავინ უნდა გაბედოს მეუღლეზე ძალადობა — მე მზად ვარ, ქალბატონებს ყოველკვირა დავუთმო ეთერი

ჟურნალისტი ინგა გრიგოლია ძალადობის მსხვერპლ ქალბატონებს ტოქშოუ „რეაქციის“ ეთერს ყოველკვირა დაუთმობს.

როგორც გრიგოლიამ ძალადობის წინააღმდეგ კამპანია „შეწყვიტე!“-ს ფარგლებში გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, თემის აქტუალურობის მიუხედავად, „ტელე-იმედის“ ეთერი ასეთ ქალბატონებს ყოველკვირეულად დაეთმობა.

– მე ვუერთდები „პრაიმტაიმის“ კამპანიას და მინდა ყველა ქალბატონს ვუთხრა, იმისთვის, რომ მათ შეძლონ საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა, მათ პრობლემას ყოველკვირეულად დავუთმობ პირდაპირ ეთერს. ძალიან რთულია ამ თვალსაზრისით ვითარება რეგიონებში, ამიტომაც ვთვლი, რომ ყველა ასეთ ფაქტს მეტი გაშუქება უნდა ჰქონდეს, იმისთვის, რომ ვერავინ გაბედოს საკუთარ მეუღლეზე ძალადობა. თემის აქტუალობის მიუხედავად, „ტელეიმედის“ ეთერი ამ ადამიანებს ყოველკვირეულად დაეთმობათ, – აცხადებს გრიგოლია.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ლიზა ყენია ვანო მერაბიშვილისთვის გამოტანილ განაჩენს ეხმაურება



მომღერალი ლიზა ყენია ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ხვდება ყვითელი პრესის ფურცლებზე. ამისთვის კი რამდენიმე მიზეზი არსებობს. მომღერალი არ ერიდება სოციალურ ქსელში თამამი ფოტოების გამოქვეყნებას. შედეგად მომღერალს ასაკით მასზე დიდი თაყვანისმცემლები გამოუჩნდნენ.

ლიზა პოლიტიკაში მიმდინარე ამბებს სოციალურ ქსელში ხშირად ეხმაურება. რამდენიმე თვის წინ ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალების გამო გამოთქმულ მის აზრს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამჯერად ლიზა ყენია ვანო მერაბიშვილისთვის გამოტანილ განაჩენს ეხმაურება.

– სასამართლომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე ვანო მერაბიშვილი „დამნაშავედ ცნო“. სასამართლო გადაწყვეტილებით, ვანო მერაბიშვილს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა და ორი წლით თანამდებობაზე ყოფნა აეკრძალა – დამნაშავედ ცნო?.. „იასნია“ სამი წელი არც გააჩერებენ და რომ გამოვა, ორ წელიწადში თანამდებობაზე ყოფნის უფლებაც აქვს. ფუუ!!!! – წერს ლიზა.

*reitingi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## როგორ აფასებს ცოლის ცემას წლების შემდეგ გია სურამელაშვილი



საქართველოში ბოლო დროს ცოლებზე გახშირებულმა ძალადობამ და მკვლელობებმა პიკს მიაღწია. გია სურამელაშვილი ერთ-ერთი გახლდათ, რომელმაც დაახლოებით ერთი წლის წინათ აღიარა, რომ მეუღლეს ფიზიკურად უსწორდებოდა...

რას ფიქრობს სურამელაშვილი ქალებზე გახშირებულ ძალადობაზე და როგორ აფასებს საკუთარ საქციელს წლების შემდეგ:

– კატეგორიულად ვგმობ ძალადობას ქალის მიმართ და მით უმეტეს სიცოცხლის ხელყოფას. არავის აქვს უფლება, სიცოცხლე წაართვას ადამიანს. ვერც ვხვდები, ახლა რატომ გახშირდა ეს ძალადობა... თვითონ ქალებიც სცოდავენ, რომ დიდი ხნის განმავლობაში მალავენ ამ აგრესიას. ეს ხომ ერთ წამში არ ხდება, ამას ხომ თავისი წინაპირობები აქვს, ეჭვიანობა, მუქარები. სანამ კაცი აფექტურ მდგომარეობამდე მივა, მანამდე უნდა ამოიღონ ხმა ქალებმა. უნდა მიმართონ შესაბამის ორგანოებს. უნდა არსებობდეს ორგანიზაციებიც, რომლებიც ამ ქალების უფლებებს დაიცავენ და უნდა იყოს შესაბამისი სამსახური, რომელიც დამნაშავეებს ამხელს და დასჯის. ტელევიზიით უნდა ცხადდებოდეს ტელეფონის ნომრები, სადაც ძალადობის მსხვერპლს დარეკვა და დახმარების თხოვნა შეეძლება.

ჩვენ ცემა-ტყეპა ოჯახში ნამდვილად არ გვქონია. ხელის გარტყმა ყოფილა, ნივთების დამტვრევაც, მაგრამ ამას ცემა არ ერქვა...

*reitingi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## მაია ასათიანი: „სირცხვილია, როცა მკვლელს ვამართლებთ და ვამბობთ, რომ სიკვდილის ღირსი იყო“



ჟურნალისტი მაია ასათიანი „პრაიმტაიმის“ კამპანიას „შეწყვიტე!“ უერთდება.

– ერთი თვის წინ „პროფილის“ სეზონი სწორედ ამ თემით გავხსენით. ერთ-ერთი ქალაქის სკვერში მოკლული 19 წლის გოგონას დედას სიუჟეტისთვის რომ ვწერდით, შოკისმომგვრელი რამ აღმოვაჩინეთ – გაგვიჭირდა ისეთი რესპონდენტის მოძებნა, რომელიც მოკლულის მიმართ თანაგრძნობით განიმსჭვალებოდა. მკვლელს ამართლებდნენ. მე ეს პრობლემა შემდეგ ჭრილში დავინახე – ის ქალები, რომლებიც თავის დროზე თავად იყვნენ მსხვერპლნი, თავად გახდნენ მკვლელების გამზრდელნი. ამის მთავარი მიზეზი ჩვენი ტრადიციაა. ჩვენ ძალადობრივი საზოგადოების წევრები ვართ. დედები ვაჟებს მოძალადეებად ზრდიან, უნერგავენ, რომ ოჯახში ის არის მთავარი, ცოლს უნდა მისცეს, ან არ უნდა მისცეს რაღაცის უფლება, რომ ცოლმა უნდა დაბანოს ფეხი... მინდა მივმართო ქალებს, რომლებსაც ქმრები ჩაგრავდნენ და სძულთ წარმატებული ქალები, რომლებმაც ძალადობის წინააღმდეგ ხმა აიმაღლეს. მივმართავ იმ დედებს – იქნებ ღირდეს დაფიქრებად, რატომ არ გიყვართ ის ახალგაზრდა გოგონები, რომლებიც იბრძვიან დამოუკიდებლობისთვის? მე მივმართავ ქალბატონებს, რომლებიც ქმნიან საზოგადოებრივ აზრს – სირცხვილია, როცა მკვლელს ვამართლებთ და ვამბობთ, რომ სიკვდილის ღირსი იყო. ჩვენი საზოგადოება ძალიან არატოლერანტულია წარმატებული ქალების მიმართ, ეს საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, – აცხადებს ასათიანი.

*primetimenews.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. მსახიობი ნანკა ...
2. პატარა ტყე
3. ანდრეი ტარკოვსკის ფილმი
4. შხამიანი გველი
5. ნამუსი
6. დუმბაძე. „... კანონი“
7. ტბა თბილისში
8. პროვინცია ესპანეთში
9. სახელმწიფო აზიაში
10. გვარში დასმული მძიმე
11. მადაგასკარის დედაქალაქი
12. ალაოს შაქარი
13. მსახიობი ... თურმანი
14. მსახიობი მაიკლ ...
15. მსახიობი ჯეიმს ...
16. იტალიელი კომპოზიტორი
17. მსახ. ... ვერტინსკაია
18. რუსული ავტომობილი
19. „ხევის ბერი გოჩა“ პერსონაჟი
20. ქართული სამარკო ღვინო
21. ადამიანი ხარის თავით
22. ვერცხლის ათცენტიანი
23. აკაკი წერეთლის ნაწარმოები
24. შრეკის სატრფო
25. დეკორატიული ყვავილი
26. ქალაქი შიდა ქართლში
27. კვირის დღე
28. საბჭოთა კარიკატურისტები
29. ქალაქი აშშ-ში
30. სახედარი
31. მსახ. ... გიორგობიანი
32. ცხიმოვანი სიმსივნე
33. მდინარე ჩინეთში
34. მხ/ფ „კერკეტი ...“
35. თბილისის ძველი უბანი
36. რომის პაპის გვირგვინი
37. სიმდიდრე: ...-დიდება
38. ზამბახი
39. ოტელოს ეროვნება
40. სოფელი ქარელის რაიონში
41. გოგოლის მოთხრობა
42. მეზღაპრე ჰანს-ქრისტიან ...
43. მსახიობი ... მარტინი
44. აფრა
45. „... კარენინა“
46. გემის ტუალეტი
47. მსახიობი ... ელიავა
48. ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან
49. ცხენ-ირემი
50. მსახიობი ... ისტვუდი
51. ლომების ოჯახი
52. შვეულმფრენი
53. მომღერალი ... პავლიაშვილი
54. ქალაქი რუსეთში
55. კონად შეკრული თავთავები
56. ზოდიაქოს ნიშანი
57. ცვილის ძელაკი პატრუქით
58. ქალაქი საფრანგეთში
59. მომღერალი ჯასტინ ...
60. მომღერალი ... ბურჭულაძე
61. ჩვილის საწოლი
62. ქვის სამარხი
63. თეთრი რეპერი
64. დაღესტნური სოფელი
65. ბუნებასთან ფერით შეხამება
66. ქვანახშირის აუზი გერმანიაში
67. ფრანგი ფერმწერი
68. მიშენება ოთახზე
69. სირაქლემას სახეობა
70. აჯანყება
71. მევიოლინე ... ისაკაძე
72. საერთო ევროპული ვალუტა
73. აფროდიტეს სატრფო
74. ჭრილობაში ჩასადები დოლბანდი
75. მსახიობი ... როკი
76. რბილი სახატავი ფანქარი
77. დანელიას ფილმი
78. ზეთი. იყენებენ ნათლობისას
79. ქალაქი იტალიაში
80. მაღალი სპორტ. მიღწევა
81. ოსური ცეკვა
82. დახურული ეტლი
83. მსახიობი ბენ ...
84. ლამინირებული ფიცარი
85. სატრფიალო პოეზიის მუზა
86. ჩოგბურთის მოედანი
87. რუმინული ფულის ერთეული
88. იაპონიის დედაქალაქი
89. თურქული ქუდი
90. ხორცის კერძი
91. სასროლეთი
92. ტბა უნგრეთში
93. მომღერალი ... რამაზოტი
94. ვაჟა-ფშაველას პოემა
95. პოლიტიკური სლოგანი
96. იტალიური ავტომობილი
97. მომღერალი კრისტინა ...
98. ქალაქი რაჭაში
99. გემების სარემონტო ადგილი
100. ქედი საქართველოში
101. მხ/ფ „განგაში“ პერსონაჟი
102. გემი ორი კორპუსით
103. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
104. იუპიტერის თანამგზავრი
105. ქვეყნის მეთაური
106. ყვავილი
107. ჩანთა დოკუმენტებისათვის
108. პატარა პური
109. კუნძული კარიბის ზღვაში
110. ამერიკელების მეტსახელი
111. მწერალი ... ჭავჭავაძე
112. სახალხო პროექტ „ნიჭიერის“ ერთ-ერთი წამყვანი
113. უანგარო შრომა
114. ქალაქი იაპონიაში
115. შენობა საწნახ-ლით
116. მეკარე ... იაშინი
117. მსახიობი ჯენიფერ ...
118. სათადარიგო ცხენი
119. ცისარტყელას ქალღმერთი
120. ზიგზაგის ფორმის გრაფიკი
121. ნიავი
122. პირის გასაპარსი დანა
123. რაჯას მეუღლის ტიტული
124. მიწის ფართობის ერთეული
125. ჰერბერტ უელსი. „დოქტორ ... კუნძული“
126. ოპერა „ევგენი ...“
127. გიორგი სააკაძის სოფელი
128. მხატვარი სალვადორ ...
129. ვინმეს მფარველობა
130. კარგად მოარული ცხენი
131. ... სულხიშვილი
132. „12 სკამი“ იპოლიტ მატვეევიჩი, იგივე ...
133. ვენესუელის დედაქალაქი
134. ... დაიჭირავს სიკვდილსა
135. ფეხბურთელი ლიონელ ...
136. ძროხის ნაშიერი
137. ცხენბურთი
138. ალკოჰოლური სასმელი
139. პირის ღრუს თაღი
140. თავდაც-ვის იარაღი
141. მხ/ფ „... ვოლოდიევსკი“
142. ... შვარცენეგერი
143. გამის ნოტი

პასუხები: 1. კალატოზიშვილი; 2. კორომი; 3. „სტალკერი“; 4. ეფა; 5. სინდისი; 6. მარადისობის; 7. ლისი; 8. მალაგა; 9. ბანგლადეში; 10. აპოსტროფი; 11. ანტანანარივუ; 12. მალტოზა; 13. უმა; 14. დუგლასი; 15. დინი; 16. მასკანი; 17. ანასტასია; 18. „ნივა“; 19. ონისე; 20. საფერავი; 21. მინოტავრი; 22. დაიმი; 23. „ბაში-აჩუკი“; 24. ფიონა; 25. ბეგონია; 26. გორი; 27. შაბათი; 28. კუკრინიკსები; 29. ჩიკაგო; 30. ვირი; 31. რამაზ; 32. თია; 33. იანძი; 34. კაკალი; 35. აბანოთუბანი; 36. ტიარა; 37. ავლა; 38. ირისი; 39. მავრი; 40. ავლევი; 41. „ვიი“; 42. ანდერსენი; 43. სტივ; 44. იალქანი; 45. ანა; 46. გალიუნი; 47. ლია; 48. ჯიქი; 49. ლოსი; 50. კლინტ; 51. პრაიდი; 52. ვერტმფრენი; 53. სოსო; 54. სამარა; 55. ძნა; 56. ვერძი; 57. სანთელი; 58. მარსელი; 59. ტიმბერლეიკი; 60. პაატა; 61. აკვანი; 62. აკლდამა; 63. ემინემი; 64. აული; 65. მიმიკრია; 66. რური; 67. მილე; 68. ერკერი; 69. ნანდუ; 70. ბუნტი; 71. ლიანა; 72. ევრო; 73. ადონისი; 74. ტამპონი; 75. მარიკა; 76. პასტელი; 77. „აფონია“; 78. მირონი; 79. მილანი; 80. რეკორდი; 81. სიმდი; 82. კარეტა; 83. აფლეკი; 84. ფანერა; 85. ერატო; 86. კორტი; 87. ლეი; 88. ტოკიო; 89. ფესი; 90. ტოლმა; 91. ტირი; 92. ბალატონი; 93. ეროს; 94. „ბახტრიონი“; 95. ლოზუნგი; 96. „ფერარი“; 97. აგილერა; 98. ონი; 99. დოკი; 100. ლიხი; 101. ბონდო; 102. კატამარანი; 103. მემ; 104. იო; 105. პრეზიდენტი; 106. ენძელა; 107. კეისი; 108. კვერი; 109. ჰაიტი; 110. იანკი; 111. ილია; 112. ფაცაცია; 113. ამაგი; 114. იოკოჰამა; 115. მარანი; 116. ლევ; 117. ლოპესი; 118. მარქაფა; 119. ირიდა; 120. სინუსოიდა; 121. სიო; 122. სამართებელი; 123. რანი; 124. აკრი; 125. მოროს; 126. ონეგინი; 127. ნოსტე; 128. დალი; 129. პროტექცია; 130. იორღა; 131. ილიკო; 132. კისა; 133. კარაკასი; 134. ვერ; 135. მესი; 136. ხბო; 137. პოლო; 138. მარტინი; 139. სასა; 140. ფარი; 141. პან; 142. არნოლდ; 143. სი. იკითხება: ტომ კრუზი.

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00




1. თევზის ჯიში
2. გერმანული ავტომობილი
3. ქიმიური ელემენტი
4. სუბტროპიკული მცენარე
5. უღელტეხილი კავკასიონზე
6. ემინემის სტილი
7. ნაგებობა მდინარეზე
8. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
9. მეუღლე
10. მეტყველების ექიმი
11. ბუნების ამსახველი ნახატი
12. მწერალი რედიარდ ...
13. წყლის მოლუსკი
14. მონეტების შემგროვებელი
15. უკანსვლა, დაქვეითება
16. მსახ. ... ჯიგარხანიანი
17. ინერტული აირი
18. „... ჭკუისაგან“
19. მსახიობი ... ელიავა
20. გულიანი კანფეტი
21. ფურცლის ერთი მხარე
22. ფედერიკო ფელინის ფილმი
23. ბუდისტი მასწავლებელი
24. „ქაჯანა“ ავტორი
25. „ოცი წლის შემდეგ“ კარდინალი
26. მითიური თხა, რომლის მოტეხილი რქა სიუხვის სიმბოლო გახდა
27. ბრაუნი. „... და ვინჩის ...“
28. ტბა თბილისში
29. რეჟისორი რობიკო ...
30. ბირმის დღევანდ. სახელწ.
31. ვაშლის ღვინო
32. ლითონის ჩაფხუტი
33. მსახ. ... ლი ჯონსი
34. ზედმიწევნითი სიზუსტის საზომი ხელსაწყო
35. სისხლნაკლებობა
36. შეთანხმება ომის შეწყვეტაზე
37. რეჟისორი სანდრო ...
38. ამერიკელი მომღერალი ქალი
39. იგავის დასკვნა
40. შესახედაობა
41. მსახიობი ანდრეი ...
42. „მე ვხედავ მზეს“ პერსონაჟი
43. შინაური ცხოველი
44. პერო. „... მზეთუნახავი“
45. იაპონური ჭიდაობა
46. კომპოზიტორი იან ...
47. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
48. „შენ ... ვენახი“
49. მევიოლინე ვანესა ...
50. მომღერალი ... ბურჭულაძე
51. კუნძული ჩინეთის მახლობლად
52. სომნამბული
53. მოსამართლის მოსასხამი
54. ქურციკი
55. შვედური ვოკალური ანსამბლი
56. მსახიობი ... დეიმონი
57. მსახიობი კიანუ ...
58. კლავიშები, ანუ ...
59. ცხენების სადგომი
60. ტელეკოშკი
61. მონადირე, ტყის მცველი
62. გაქრისტიანებული არაბი ყმაწვილი
63. პატარა ჩიტი
64. ხორბლის ყვავილედი
65. მსახიობი ... კრუზი
66. მხ/ფ „ქრისტეს ...“
67. ყვავილი
68. კურორტი თურქეთში
69. შოუმენი ოთარ ...
70. ვაზა
71. ქალაქი ლიტვაში
72. მსახიობი ჯულია ...
73. მხატვარი ავთო ...
74. მართკუთხედში გავლებული ხაზი
75. ქალაქი საფრანგეთში
76. შვიდი დღე
77. მსახიობი ზინაიდა ...
78. მხ/ფ „... ალქაჯები“
79. ტანსაცმლის აქსესუარი
80. რომის პაპის თავსარქმელი
81. წმინდანი დედა ...
82. თოვლის კაცი
83. ვაშლი, მსხალი, ატამი
84. სოფელი შუა აზიაში
85. ისრაელის დედაქალაქი
86. მხ/ფ „... კბილი“
87. ცირკის მსახიობი
88. ციებცხელება
89. ძვირფასი ქვა
90. წყლიანი ადგილი უდაბნოში
91. დაესმის არსებით სახელს
92. ეკვადორის დედაქალაქი
93. სწრაფი ტემპი მუსიკაში
94. გოგოლის მოთხრობა
95. რიცხვი 3,14
96. მექსიკური ქუდი
97. მოთიბული გამხმარი ბალახი
98. უძველესი ასურეთის დედაქალაქი
99. ავსტრიის დედაქალაქი
100. მინიბოულინგი
101. ბუჩქი ყვითელი ყვავილებით
102. „სამგროშიანი ...“
103. თმის საპრიალებელი
104. რეჟისორი როჟე ...
105. მსახიობი ჯორჯ ...
106. ტიბეტური ხარი
107. XVII საუკუნის ინგლისელი პოლიტიკური ლიდერი ოლივერ ...
108. იაპონელი თვითმკვლელი
109. იტალიის დედაქალაქი
110. მარჯნის კუნძული
111. ომღერალი ... კალანდაძე
112. მხ/ფ „ზოლიანი ...“
113. მსახიობი ბრედ ...
114. გოლკიპერი, ანუ ...
115. მსახიობი დრიუ ...
116. ღორის ნაშიერი
117. ჩეხოვი. „... ვანია“
118. მხ/ფ „როგორ მოვიპაროთ ...“
119. საერთო ევროპული ვალუტა
120. მსახიობი ... ბრინერი
121. მსახიობი უორენ ...
122. ინდური კაბა
123. მსახიობი ... ხაზანოვი
124. რეჟისორი ლევან წულაძე, იგივე ...
125. ინგლისური ლუდი
126. ვენახის მეთვალყურე
127. ფეხბურთელი მიხეილ ...
128. მსახიობი ... ჯიროტი
129. წინაღობის შებრუნ. სიდიდე
130. ცვილის ქერქი პატრუქით
131. ხის ჯამი
132. მინდორი
133. დიეგო არმანდო ...
132. ცირკის მოედანი
135. მწერალი ... ევდოშვილი
136. საკანი
137. დაბა სვანეთში
138. ნაბიჯი ბალეტში
139. ... ასე, ... ისე
140. მომღერალი ბობ ...
141. ერთიანი ხარდში
142. ... მოგივა დავითაო
143. ... ონაშვილი

პასუხები: 1. კალმახი; 2. „მერსედესი“; 3. სილიციუმი; 4. მაგნოლია; 5. მარუხი; 6. რეპი; 7. ხიდი; 8. არგენტინა; 9. ქმარი; 10. ლოგოპედი; 11. პეიზაჟი; 12. კიპლინგი; 13. მიდია; 14. ნუმიზმატი; 15. დეგრადაცია; 16. არმენ; 17. ნეონი; 18. ვაი; 19. ლია; 20. კარამელი; 21. გვერდი; 22. „რვანახევარი“; 23. გურუ; 24. ლომოური; 25. მაზარინი; 26. ამალთეა; 27. კოდი; 28. ლისი; 29. სტურუა; 30. მიანმა; 31. სიდრი; 32. მუზარადი; 33. ტომი; 34. ეტალონი; 35. ანემია; 36. ზავი; 37. ახმეტელი; 38. ენია; 39. მორალი; 40. იერი; 41. მირონოვი; 42. ბეჟანა; 43. თხა; 44. მძინარე; 45. სუმო; 46. სიბელიუსი; 47. სერ; 48. ხარ; 49. მეი; 50. პაატა; 51. ტაივანი; 52. მთვარეული; 53. მანტია; 54. ნიამორი; 55. „აბბა“; 56. მეთ; 57. რივზი; 58. კლავიატურა; 59. თავლა; 60. ანძა; 61. ეგერი; 62. აბო; 63. ნარჩიტა; 64. თავთავი; 65. ტომ; 66. ვნებანი; 67. ია; 68. ანტალია; 69. ტატიშვილი; 70. ლარნაკი; 71. კლაიპედა; 72. რობერტსი; 73. ვარაზი; 74. დიაგონალი; 75. ნანტი; 76. კვირა; 77. კვერენჩხილაძე; 78. ისტვიკელი; 79. ჯიბე; 80. ტიარა; 81. ტერეზა; 82. იეტი; 83. ხილი; 84. ყიშლაღი; 85. იერუსალიმი; 86. ზვიგენის; 87. ეკვილიბრისტი; 88. მალარია; 89. ამეთვისტო; 90. ოაზისი; 91. ვინ; 92. კიტო; 93. პრესტო; 94. „ვიი“; 95. პი; 96. სომბრერო; 97. ჲივა; 98. ნინევია; 99. ვენა; 100. კეგლი; 101. იელი; 102. ოპერა; 103. ბრიოლინი; 104. ვადიმი; 105. კლუნი; 106. იაკი; 107. კრომველი; 108. კამიკაძე; 109. რომი; 110. ატოლი; 111. ბესიკ; 112. რეისი; 113. პიტი; 114. მეკარე; 115. ბერიმორი; 116. გოჭი; 117. ძია; 118. მილიონი; 119. ევრო; 120. იულ; 121. ბიტი; 122. სარი; 123. გენადი; 124. ჭოლა; 125. ელი; 126. მეველე; 127. მესხი; 128. მასიმო; 129. მო; 130. სანთელი; 131. გობი; 132. ველი; 133. მარადონა; 134. არენა; 135. იროდიონ; 136. დილეგი; 137. მესტია; 138. პა; 139. ან; 140. მარლი; 141. იაქე; 142. რაც; 143. ირინე. იკითხება: მიქსერი.

## ტაილანდში დაბადებულ 6 ტყუპს საავტომობილო ბრენდების სახელები დაარქვეს



კარგი, ერთ შვილს არქმევ უცნაურ სახელს, არა უჭირს, რომ გაიზრდება, როგორმე გაუმკლავდები, მაგრამ ექვსს რომ დაარქმევ სულელურ სახელს, არ გეშინია, სიბერე გაგიმწარდეს?!

პრინციპში, სახელის გამო ნორმალური შვილი მშობელს სერიოზულ ზიანს არ მიაყენებს, თუმცა ხშირი საყვედურებით კი ნამდვილად უზრუნველყოფს.

სავსებით შესაძლებელია, ზუსტად ასე მოხდეს გასულ დღეებში ტაილანდში დაბადებული 6 ტყუპისცალის შემთხვევაში, რომლებსაც ბედნიერმა დედ-მამამ საავტომობილო ბრენდების სახელები შეურჩია.

კერძოდ, ბავშვებს დაარქვეს: ტოიოტა, პორშე, ფიატი, ფოლკსვაგენი, აუდი და მინი.

რატომ მიიღეს ეს მართლაც ძალიან უცნაური გადაწყვეტილება ტაილანდელებმა, უცნობია, თუმცა იმის თქმა კი შეგვიძლია, რომ ტყუპები დღის სინათლეს ხელოვნური განაყოფიერების შედეგად მოევლინნენ. რომ დედა 29 წლისაა, მამა კი – 37-ის. და რომ ტაილანდში ეს პირველი შემთხვევაა, როცა ერთდროულად ამდენი ბავშვი დაიბადა.

*lenta.ru*

## ადამიანები ახალი მეთოდით გამრავლდებიანო



სამეცნიერო სამყაროში დღემდე არ არის მიღებული ერთი კონკრეტული თეორია ადამიანის ევოლუციის შესახებ.

მაგალითად, მკვლევართა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ ამ დროისთვის ადამიანის ევოლუცია შენელებულია (მხედველობაში აქვთ გენური ცვლილებები), სხვები პირიქით, ამტკიცებენ, რომ პროცესი აჩქარებულია, თანაც დაახლოებით 10-ჯერ.

ორი „ყველაზე უკანასკნელი" მასობრივი ხასიათის გენური მუტაცია, როგორც მეცნიერები ამბობენ, 11 და 6 ათას წლის წინათ მოხდა. პირველი – ეს არის სკანდინავიის გენის გაჩენა, რომელიც პასუხს აგებს ღია ფერის თმაზე და ცისფერ თვალებზე და მეორე – უეცრად წარმოქმნილი შესაძლებლობა, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს, რძე შეირგოს.

რაც შეეხება არამასიურ მუტაციებს, ამ მხრივ რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა.

ამერიკის ფსიქიატრიული და ქცევითი გენეტიკის ინსტიტუტის პროფესორი მაიკლ რეიმერსი განმარტავს, რომ თითოეული ჩვენგანი უამრავი მუტაციაგანცდილი გენის მატარებელია.

– მუტაციების 50-60 პროცენტი ნეიტრალურია, 30-40 პროცენტი მავნეა და სხვადასხვა დაავადებასა და გადაგვარებას იწვევს. სასარგებლო კი მხოლოდ 10 პროცენტია, – ამბობს ამერიკელი სწავლული.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ უარყოფითი გავლენის მქონე მუტაციები ადამიანს მემკვიდრეობით გადაეცემა. ამდენად, გამოდის, რომ პათოლოგიური გენები თანამედროვე ადამიანს გეომეტრიული პროგრესიით უგროვდება.



ადრე, სულ რამდენიმე ასწლეულის წინათ, მუტაციები კაცობრიობას გადარჩენაში ეხმარებოდა – სხვადასხვა ეპიდემიის გაჩენის შემთხვევაში, ყოველთვის იყვნენ ისეთები, რომლებსაც დაავადება ვერაფერს აკლებდა. პროფესორის თქმით, თანამედროვე ადამიანებს არავითარი ეპიდემია არ ემუქრება. მაგალითად, შუა საუკუნეებში ძროხის შავმა ჭირმა მუტაციის შემდეგ ადამიანებზე გადაინაცვლა და ნახევარ ევროპას მუსრი გაავლო. ჩვენს დროში ქათმის გრიპმა ფიასკო განიცადა, რაც მედიცინის „ბრალია".

მაგრამ რა უნდა ვუქნათ არამასიურ უსარგებლო და ნეგატიურ მუტაციებს? პასუხი ასეთია: საქმეში გენური ინჟინერია უნდა ჩაერთოს.

მაიკლ რაიმერსის თქმით, ყოველ ადამიანს გენების ორი ასლი აქვს: „ჯანმრთელი და დაზიანებული. ტრაგედიულია შედეგი, როცა ორივე ზიანდება".

იმისთვის, რათა მუტირებული გენი შთამომავლებს არ გადაეცეთ, ადამიანმა სპერმა (ან კვერცხუჯრედი) პროფესიონალ გენეტიკოსებს უნდა ანდოს, რომლებიც მათგან ყველანაირ უარყოფითს გამოაცალკევებენ.

ამერიკელი პროფესორის თქმით, დღეს კაცობრიობას ამის ეშინია, მაგრამ სულ რაღაც 10 ან მაქსიმუმ 20 წლის შემდეგ ჩვენ, უბრალოდ, სხვა გზა აღარ გვექნება და მოგვიწევს სწორედ ასეთი გზით გავმრავლდეთ. შედეგად, ბავშვები ერთმანეთზე ჯანმრთელები, ლამაზები და სრულყოფილები იქნებიან. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს გარკვეული საფრთხეებიც ახლავს. კერძოდ, იდეალურად გარკვეული გენები დასახელდება და ადამიანები ერთნაირები გახდებიან.

აქვე ამერიკელი მეცნიერი კიდევ ერთ საინტერესო ფაქტზე საუბრობს. კერძოდ, ჩვენს წინაპრებს ხელები დაახლოებით 3 მილიონი წლის წინათ დაუგრძელდათ – მუტაციის შედეგად. მაშინ ადამიანებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ არც ნადირობა და არც ცეცხლის დანთება. იმის ნაცვლად, რომ ანტილოპებზე ენადირათ, ხორცს ლომებს ჰპარავდნენ.

– როცა მტაცებლებს ეძინათ, ადამიანი ხორცს მათ მაშინ აცლიდნენ. რა თქმა უნდა, ამ ქურდობაში წარმატებას აღწევდა ის, ვისაც უფრო გრძელი ხელები ჰქონდა. შესაბამისად, ეს სასარგებლო მუტაცია ყველა მაშინდელ ჰომო საპიენსზე გავრცელდა, – განმარტავს პროფესორი.

სხვათა შორის, მაშინდელ სამყაროში ადამიანის კიდევ 5 ბიოლოგიური სახეობა მოიძებნებოდა, მაგრამ მათ შორის ოთხი გადაშენდა – ალბათ, მოკლე ხელები ჰქონდათ და იმიტომ...

*tainamira.ru*

## შექმნილია სიცრუის დეტექტორი ახალი პრინციპით



ახალი თაობის სიცრუის დეტექტორის მთავარი ნოუ-ჰაუ კი არა და – მამაძაღლობა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ვერც კი მიხვდება, რომ მას ვინმე ამოწმებს.

სიახლის ავტორები რუსი, კერძოდ კი, ნიჟეგოროდსკის ლინგვისტური უნივერსიტეტის მეცნიერები არიან.

– მოწყობილობის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ ის უკონტაქტო და ფონეტიკურია, – განმარტავენ ახალი თაობის სიცრუის დეტექტორის შემქმნელები.

შეგახსენებთ, რომ კლასიკური სიცრუის დეტექტორი, პირველ რიგში, ადამიანის სხეულზე სპეციალური მოწყობილობების მიმაგრებას გულისხმობს. ანუ საქმე ეხება პროცედურას, რომელიც თავისთავად, უკვე იწვევს დაძაბულობას. სპეციალისტების თქმით, გასათვალისწინებელია, რომ ამ დროს ადამიანი სტრესს განიცდის და სავსებით შესაძლებელია, რომ შედეგი არასასურველი იყოს. რაც შეეხება რუსების მიერ შექმნილ მოწყობილობას, მას მხოლოდ კომპიუტერი და მიკროფონი სჭირდება.

კომპიუტერული პროგრამა ადამიანის საუბარს იწერს და მონიტორზე მაშინვე გამოაქვს დიაგრამა, რომლის მიხედვითაც, სპეციალისტს შეუძლია დაადგინოს, იტყუება გამოცდის ობიექტი, თუ სიმართლეს ამბობს.

რა თქმა უნდა, გამოგონებით, პირველ რიგში, სპეცსამსახურები დაინტერესდებიან, თუ უკვე არ დაინტერესდნენ, რიგით ადამიანებზე კი ეს ზეწოლის მორიგი ბერკეტია.

*rg.ru*

## დამტკიცებულია, რომ მუსიკა საკვებს გემოს უცვლის



მეცნიერები იმაზე უკვე შეთანხმდნენ, რომ მუსიკას სხვადასხვა დაავადების მქონე პაციენტის მკურნალობისას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ საკითხზე კვლევა იტალიელმა სწავლულებმა ჩაატარეს.

ახლა კი გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ თურმე, მუსიკას საკვების გემოს შეცვლაც კი შეუძლია.

იმისთვის, რათა საკვების გემო გავაუმჯობესოთ, სპეციალისტები გვთავაზობენ, მუსიკის თანხლებით ვიტრაპეზოთ.

გაინტერესებთ, რომელი მუსიკა უნდა აირჩიოთ?

ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ კლასიკის სტილის მუსიკამ, რომელშიც ბასები დომინირებს, შეუძლია ყავისა და შოკოლადის გემო გააუმჯობესოს.

კლასიკური, უფრო მშვიდი და მსუბუქი ფონი დესერტებისა და ხილის გემურ თვისებებს დადებითისკენ ცვლის.

ტალღებისა და ზოგადად, სანაპიროს ხმაურს შეუძლია, უფრო სასიამოვნო გახადოს კერძების მიღება, რომლებიც ზღვის პროდუქტებისგანაა დამზადებული.

სამწუხაროდ, ის უკვე აღარ თქმულა, რომელი მუსიკა გააუმჯობესებს მწვადისა და ხინკლის გემოს, თუმცა ეს სულაც არ არის საჭირო, რადგან ორივე კერძი ისედაც უგემრიელესია.

რას უკავშირდება და რა იწვევს ამ უცნაურ მოვლენას? სპეციალისტების თქმით, ადამიანის თავის ტვინი საკვებს აფასებს არა მხოლოდ მისი გემოს ან სუნის მიხედვით, არამედ ტაქტილური, სმენითი და ვიზუალური ინფორმაციით.

*myjane.ru*

## რობოტის მართვა გონების ძალით... 2000 კილომეტრზე?!



დასაწყისშივე უნდა ვთქვათ, რომ ცოტა გვიჭირს ამ ფაქტის დაჯერება, მაგრამ ვინც დაიჯერებს, იმას გავატარებთ, მაგაზე არ დავზარდებით.

როგორც ირკვევა, ისრაელში მყოფი სტუდენტი წარმატებით უძღვებოდა რობოტის გადაადგილებას, რომელიც დაახლოებით 2 ათასი კილომეტრის დაშორებით საფრანგეთში იმყოფებოდა. რაც მთავარია, რობოტის გადაადგილებას სტუდენტი მხოლოდ... ფიქრით ახერხებდა.

სტუდენტის გვარ-სახელზე ზუსტად ვერაფერს გეტყვით, რადგან ის მოხსენიებულია მხოლოდ როგორც შაპირა.

იქაური მედიის ინფორმაციით, შაპირამ რობოტი აიძულა, 30 გრადუსით მობრუნებულიყო, ატარა პირდაპირ და ასე შემდეგ.

ეს არის პირველი შემთხვევა, როცა რობოტის მართვა ფუნქციონალური მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის დახმარებით ასეთ მანძილზე მოხერხდა.

იმისთვის, რათა რობოტის მართვა წარმატებით მოხდეს, აუცილებელია იმის დანახვა, რასაც თავად რობოტი ხედავს. ამიტომ მის ზედა ნაწილში დამონტაჟებულია ვიდეოკამერა, რომელიც გამოსახულებას ერთი ადგილიდან მეორეში ინტერნეტით გადასცემს.

სამომავლოდ იგეგმება რობოტის ტესტირება იმ ადამიანებთან ერთად, რომლებსაც მოძრაობა არ შეუძლიათ. როგორც მეცნიერები ამბობენ, ასეთი ექსპერიმენტებით მათი ცხოვრება კარდინალურად შეიცვლება.

*pc-news.info*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– მრცხვენია, ძალიან მრცხვენია! – ეუბნება რაბინოვიჩი ცოლს.

– რა მოხდა? – ეკითხება ცოლი.

– რა მოხდა, კაცო და აგერ, აბრამმა უკვე მესამედ მიმიწვია ცოლის გასვენებაში, მე კი – არც ერთხელ!..

*****

მოსამართლე:

– ბრალდებულო, განუმარტეთ დამსწრე საზოგადოებას, რატომ გატეხეთ სეიფი და აიღეთ მხოლოდ ფული, სამკაულები კი ხელუხლებელი დატოვეთ?

– ღმერთო ჩემო, ბატონო მოსამართლევ, რა ჩემი ცოლივით მელაპარაკებით?!

*****



– ექიმო, მგონი, გეი ვარ...

– მსახიობი ხართ?

– არა...

– მუსიკოსი?

– არა...

– შოუმენი?

– არა, არც შოუმენი...

– იქნებ პოლიტიკოსი?

– ისევ ვერ გამოიცანით, ექიმო.

– აბა, რა პროფესიის ხართ?

– ზეინკალი ვარ.

– ეეე, მეგობარო, პიდარასტი ყოფილხარ!..

*****

ოპერაცია ერთ-ერთი სოფლის საავადმყოფოში.

ქირურგი: ნარკოზი მოამზადეთ!

მედდა: რომელი?

ქირურგი: ჩვენი, ადგილობრივი!

მედდა: იავნანა, ვარდოვ ნანააა...

*****

– ნინიკომ მიმატოვა...

– ეგ არაფერი, მისნაირს ათასს იპოვი კიდევ!

– კიდევ ათასს? ღმერთო, რა დაგიშავე ასეთი?!

*****

კოტე სკოლიდან გახარებული დაბრუნდა:

– მამიკო, ხუთიანი მოვიტანე!

– კარგი ბიჭი ხარ, შედგი მაცივარში, ჩაცივდეს!..

*****

– მთავარია, ბედნიერი იყო და რა მნიშვნელობა აქვს, რას ჩაწერს დასკვნაში ფსიქიატრი?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## როგორ შეიძლება, სტრესმა ადამიანის იმუნიტეტი გააძლიეროს?



რაო, შეიძლებაო? თურმე, შეიძლება და მერე როგორ! ერთი ეგ არის, ქრონიკული არ უნდა იყოს სტრესი და დაუსრულებელი. თუმცა კი იცით, რომ გადაჭარბებული ვაშლი არვარგა და ალუჩა და მით უმეტეს, სტრესი.

მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ როგორც სტენფორდის უნივერსიტეტის სპეციალისტები ვარაუდობენ, სტრესი ადამიანის იმუნურ სისტემას საგრძნობლად აძლიერებს და მას სხვადასხვა სახის დატვირთვისთვის ამზადებს. მათივე თქმით, საუბარი არავითარ შემთხვევაში არ ეხება ქრონიკულს და მხოლოდ ხანმოკლე სტრესი შეიძლება იყოს სასარგებლო, რომელიც მხოლოდ რამდენიმე საათს გრძელდება.

მეცნიერების მოსაზრება მღრღნელებზე ჩატარებული ექსპერიმენტებით დადასტურდა: მღრღნელებს მათ შეგნებულად შეუქმნეს სტრესული პირობები და დაადგინეს, რომ ნორადრენალინი, რომელიც სტრესრეაქციების ადრეულ ეტაპებზე გამოიყოფა, ყველა ძირითადი იმუნური უჯრედის მობილიზებას ახდენს. ანალოგიურად მოქმედებს ადრენალინი მონოციტებსა და ნეიტროფილებზე. დაბოლოს: კორტიკოსტერონი, რომელიც სტრესულ მდგომარეობაში ყველაზე ბოლოს გამომუშავდება, იმუნურ უჯრედებს საფრთხესთან საბრძოლველად უშვებს.

ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ხანმოკლე სტრესი ორგანიზმზე მართლაც დადებითად მოქმედებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მიგნებიდან გამომდინარე, სპეციალისტები ახალი სამედიცინო მიდგომებისა და პრეპარატების გამოგონებას აპირებენ.

*myjane.ru*

## პირველად მედიცინის ისტორიაში, ღორის ორგანო მაიმუნს გადაუნერგეს



ალბათ, არ დაიწყებს ახლა მაიმუნი ტალახში კოტრიალს და რკოს ჭამას, თუმცა რა ვიცით, რა ხდება...

სამხრეთ კორეელმა ექიმებმა პირველებმა მედიცინის ისტორიაში, შეძლეს და სახეობათაშორისი ტრანსპლანტაციის ოპერაცია ჩაატარეს.

კერძოდ, სეულის ერთ-ერთ კლინიკაში ღორის გული მაიმუნს გადაენერგა.

მედიკოსების განმარტებით, ოპერაცია საკმაოდ რთული აღმოჩნდა, თუმცა საბოლოოდ, ქსენოტრანსპლანტაცია (ორგანოს ან ქსოვილის გადანერგვა ერთი ცხოველისგან მეორე ბიოლოგიური სახეობისთვის) წარმატებით დასრულდა.

საინტერესოა, რომ ბოლო მომენტამდე ერთი ცხოველისგან მეორესთვის ორგანოს გადანერგვა შეუძლებლად ითვლებოდა, რისი მიზეზიც ის იყო, რომ ჩვეულებრივ, რეციპიენტის ორგანიზმში ქსოვილები ახალ ორგანოს ვერ იღებდა.

– ამ დღისთვის რამდენიმე წლის მანძილზე ვემზადებოდით, – აღიარებს სამეცნიერო ექსპერიმენტის პასუხისმგებელი ლიმ ჯიო-ბინი, – მეცნიერებისთვის ისტორიულ ოპერაციაში 4 სამედიცინო უნივერსიტეტის წამყვანი სპეციალისტები მონაწილეობდნენ, ასევე, მოწვეული იყო რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენელი.

მისივე თქმით, ძვირადღირებული ოპერაცია მთლიანად სახელმწიფომ დააფინანსა, რადგან ყველას ესმოდა, რომ შედეგს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, მომავალში შესაძლებელი გახდება იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი ცხოველებისთვის სიცოცხლის შენარჩუნება.

*lifenews.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**21 ოქტომბერი:** ცხოვრება გრძელდება, ბევრი რამ იცვლება და ვერაფერს შეცვლით. დღეს მორიგი ცვლილება მოხდება.

**კურო 22.04-21.05**

**21 ოქტომბერი:** დღეს რაღაც ახალი მოხდება თქვენს ცხოვრებაში. რაც არ უნდა იყოს სანერვიულო არაფერია, ახლობლები თქვენ გვერდით იქნებიან.

**ტყუპები 22.05-21.06**

**21 ოქტომბერი:** ერთდროულად რამდენიმე საქმის გაკეთებას ცდილობთ და გიკვირთ, კარგად რომ არაფერი გამოგდით. მთავარი საქმე გააკეთეთ, პირველ რიგში.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**21 ოქტომბერი:** მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყეთ მოქმედება, თუკი დარწმუნდებით, რომ არაფერი გეშლებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი აგერდაგერევათ.

**ლომი 23.07-22.08**

**21 ოქტომბერი:** შეეცადეთ, გაუაზრებლად არც ერთი საქმე არ წამოიწყოთ, თორემ ხარჯებს ვერ აუხვალთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**21 ოქტომბერი:** საკმაოდ ენერგიული იქნებით, ამიტომ სისულელე იქნება, თუ სიზარმაცის გამო ერთ ადგილას იჯდებით.

**სასწორი 23.09-22.10**

**21 ოქტომბერი:** რაც არ უნდა მოხდეს, განწყობას ვერაფერი გაგიფუჭებთ. პირადი ცხოვრებისთვის კარგი დღეა, სხვა ყველაფერს კი ნელ-ნელა მოევლება.

**მორიელი 23.10-21.11**

**21 ოქტომბერი:** შეიძლება რაღაცამ ხელი შეგიშალოთ და მიზეზებს ვერ ჩასწვდეთ. არც ღირს, ვერ გაიგებთ რა ხდება. უმჯობესია, დაელოდოთ, სანამ ყველაფერი თავისით არ დალაგდება.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**21 ოქტომბერი:** ყველაფერი გვერდზე გადადეთ და საკუთარ თავს მიხედეთ, ყოველ შემთხვევაში, რა საქმესაც არ უნდა მოჰკიდოთ ხელი, შეეცადეთ, სიამოვნება მიიღოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**21 ოქტომბერი:** თუ დღეს მშვიდი და უკონფლიქტო იქნებით, პრობლემებს აიცილებთ თავიდან, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ვინმე თავზე დაისვათ.

**მერწყული 20.01-18.02**

**21 ოქტომბერი:** რაღაც სიგიჟე მოგეძალებათ და მიზნისკენ სვლას ველარ შეძლებთ. თუ გინდათ, რამე გამოგივიდეთ, თავი ხელში აიყვანეთ.

**თევზები 19.02-20.03**

21 ოქტომბერი: შედარებით წარმატებული დღე იქნება, მაგრამ საღამოხანს შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ არაფერიც არ მომხდარა. თუმცა, უსიამოვნო არაფერი მოხდება.

## ბევრი ცხიმი სალათის თვისებებს აუმჯობესებს



ნეტავ, მამაკაცებო, ერთხელ მაინც არ გქონიათ შემთხვევა, როცა სამსახურიდან სახლში დაბრუნებულს, გადაღლილს, გადამწვარსა და მშიერს მეუღლე გახარებული შემოგეგებებათ: „ძვირფასო, შენთვის ძალიან გემრიელი...“

სანამ წინადადებას დაამთავრებს, წამი საუკუნესავით იწელება და ნებიერად წარმოიდგენ, როგორ ჩააჭერ კბილებს შემწვარ ხორცს და ტანში სასიამოვნო ჟრუანტელი დაგივლის მისი გემოსგან...

და ამ დროს ძილ-ბურანიდან საშინელი სიტყვები გაფხიზლებს, – „სალათი გავაკეთე“...

პრინციპში, ტრაგედია არ არის, რადგან სალათი ძალიან სასარგებლოა ყველას ჯანმრთელობისთვის და ახლა სპეციალისტები იმასაც ამბობენ, რომ დიდი რაოდენობით ცხიმი სალათის სასარგებლო თვისებებს ბევრად აუმჯობესებს.

სპეციალისტების თქმით, ცხიმის დახმარებით, ადამიანის ორგანიზმი ბოსტნეულიდან კაროტონოიდების მაქსიმალურ რაოდენობას იღებს.

სხვათა შორის, ეს სასარგებლო ნივთიერება მნიშვნელოვნად ამცირებს სერიოზული დაავადებების წარმოქმნის რისკს. მათ შორისაა, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კიბო და ასე შემდეგ.

*diets.ru*

## გერმანიაში წვიმის დროს „მომღერალი“ ქოლგა გამოიგონეს



ბევრ ადამიანს არ შეუძლია ნორმალურად იმღეროს და ყველაზე ცუდი ის არის, მაინც რომ ცდილობენ სიმღერას. რას ვიზამთ, რა გავაკეთოთ, სმენის არქონის გამო ადამიანს ქვას ხომ არ ვესვრით? რასაკვირველია, არა, მაგრამ საბედნიეროდ, შეგვიძლია, ვისაც სიმღერა გამოსდის, იმას მოვუსმინოთ. ბოლოს და ბოლოს, ინტერნეტსა და ცნობილ შემსრულებლებს რომ თავი დავანებოთ, გერმანელების წყალობით, უკვე ქოლგაც დაგვატკბობს მელოდიებით.

როგორც ირკვევა, ბერლინელმა ალისა ცაპემ და იულია ლაგერმა წვიმის დროს „მომღერალი“ ქოლგა გამოიგონეს.

ცნობილია, რომ ქოლგის შიდა ნაწილის ზედაპირზე სპეციალური მასალისგან დამზადებული 12 სენსორია მიმაგრებული, რომლებიც წვიმის წვეთების ზეწოლაზე რეაგირებენ. თითოეული სენსორი სხვადასხვაგვარად ჟღერს, ხოლო ხმა წვიმის წვეთთან შეჯახების ძალაზეა დამოკიდებული. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ ქოლგა წვიმის დროს უნიკალურ მელოდიას „უკრავს“.

იდეის ავტორები განმარტავენ, რომ მუსიკალური ქოლგა 24 საათში ააწყვეს და ის ამსტერდამში დაგეგმილი უნიკალური გამოგონებების გამოფენაზე უნდა გაიტანონ.

ამ დროისთვის ალისა ცაპე და იულია ლაგერი ქოლგის სრულყოფაზე მუშაობენ და არ არის გამორიცხული, მისი სერიული წარმოებაც კი დაიწყოს რომელიმე კომერციულმა კომპანიამ.

*top.rbc.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



– ბარმენ, მიდი კონიაკი დამისხი, რა.
– რომელი?
– აი, ის – 5-ვარსკვლავიანი.
ბარმენმა კონიაკი დაასხა, კლიენტმა დალია და უსულოდ დაეცა.
ბარმენმა ეტიკეტს მე-6 ვარსკვლავი მიახატა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
211359457
დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.30